



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მამიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება

(დაწესებულების სტატუსის მამიებლის საფირმო სახელწოდება)

გარდაბნის მუნიციპალიტეტის გარდაბნის #3 ბაგა-ბაღი

(პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში))

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: **მარინა გოგოლაძე**

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: **თეონა გაროზაშვილი**

კვების დარგში ექსპერტი: **თამარ ნაროუშვილი**

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: **გიორგი ანთაძე**



ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება
საიდენტიფიკაციო ნომერი	226574962
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში)	გარდაბნის მუნიციპალიტეტის გარდაბნის № 3 ბაგა-ბაღი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე (არსებობის შემთხვევაში)	-----
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსი
საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	გარდაბნის მუნიციპალიტეტი ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. №129
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი	გარდაბნის მუნიციპალიტეტი ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. 5 ა



(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი (არსებობის შემთხვევაში)	
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) ☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) ☐
ინფორმაცია ვიზიტის შესახებ	
ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანება MES 3 25 0000642874, 10/06/2025 წელი
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	15-16 ივლისი, 2025 წელი
ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)	
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა
ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ	
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.	

N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“	ქართული		170 ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ არ ეთანხმება ☐

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მამიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

2025 წლის 16-17 ივლისს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ქ. გარდაბნის #3 ბაგა-ბაღში მისამართზე - დავით აღმაშენებლის ქ. 5 ა ბაგა-ბაღში.
ქ. გარდაბნის #3 ბაგა-ბაღის შენობა-ნაგებობის რეაბილიტაცია დასრულდა 2017 წლის 27 იანვარს.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასების კითხვარს და გადმოგზავნილ ძირითად და დამატებით დოკუმენტაციას. ექსპერტებმა დამატებითი კიდეც გამოვითხოვეთ მასალები. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში. გავეცანით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას. ვიზიტის ფარგლებში თითოეულმა ექსპერტმა, თავისი მიმართულებების მიხედვით, იმუშავა დასკვნის მომზადებისთვის კომპეტენციის ფარგლებში საჭირო ინფორმაციის შესაგროვებლად დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად. ადგილზე შესწავლილ იქნა სტანდარტის კომპონენტებით (დანართი/ჩეკლისტები 4.3; 4.4. და 4.5), განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი. შედგა გასაუბრება დაწესებულების მმართველ გუნდთან. დაათვალიერებულ იქნა ჯგუფური ოთახები.

¹ აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.



ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა მიზნობრივი გასაუბრებები/ინტერვიუება: დაწესებულების სასწავლო-სააღმწოდებლო პროცესის, მონიტორინგისა და კოორდინაციის განყოფილების (მეთოდური განყოფილება) უფროსთან, ბაგა-ბაღის მენეჯერთან, დაწესებულების ბუღალტერთან, იურისტთან, ბაგა-ბაღის აღმწოდებლთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შევსებულ იქნა 1, მე-2 და მე-3 დანართები). ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტი. დაწესებულებას, ექსპერტების მიერ, მიმართულებების მიხედვით, მიეწოდა ინფორმაცია ვიზიტის მიგნებების შესახებ.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

.....

.....

.....

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

.....

.....



ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა² (სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა) (1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“)		
2. კურიკულუმი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი



1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმარება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება, შემუშავებული მისიით, იღებს ვალდებულებას, რომ ხელი შეუწყოს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას, ბავშვებისა და პერსონალისათვის შექმნას მიმზიდველი, კეთილდღეობაზე ორიენტირებული გარემო. მისია შემდეგნაირად ჟღერს - „დაწესებულების მისიაა ხელი შევუწყოს ბავშვების მრავალმხრივ განვითარებას და საბავშვო ბაღებში შევქმნათ უსაფრთხო, მიმზიდველი, კეთილდღეობაზე ორიენტირებული გარემო, როგორც ბავშვებისთვის, ასევე პერსონალისთვის“.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების მისია ეხმარება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია:

- ✓ მისია გადმოცემული იყოს სახელმწიფო დონის ნაცვლად მაგ. „დაწესებულების მისიაა ბავშვების მრავალმხრივი განვითარებისათვის ხელშეწყობა“, ნაცვლად „ხელი შევუწყოს ბავშვების მრავალმხრივ განვითარებას“.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....



2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს მისიიდან, რაც წარმოდგენილია დოკუმენტში „ა(ა)კ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საამდმზრდელი დაწესებულების სტრატეგია 2023-2028“.

დაწესებულების ხედვა შემდეგნაირად ჟღერს: „ჩვენი ხედვით, სკოლამდელი დაწესებულებები იქნება კეთილმოწყობილი, ინდივიდუალურ საჭიროებებზე ადაპტირებული და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო მასალით აღჭურვილი. საგანმანათლებლო პროცესს წარუძღვება კვალიფიციური პერსონალი, რომელიც მშობლებისა და თემის აქტიური ჩართულობით ხელს შეუწყობს ბავშვების განვითარებას“.

დაწესებულების ღირებულებებია:

- ✓ ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა;
- ✓ ბავშვის ასაკობრივი განვითარებისაკენ სწრაფვა;
- ✓ პოზიტიური გარემოს შექმნა;
- ✓ გუნდური მუშაობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებას ხედვაში გაცხადებული ჰქონდეს პერიოდი, რამდენ ხანში აპირებს ხედვაში გაცხადებული სასურველი მდგომარეობის წარმატების მიღწევას, იმის გათვალისწინებით, რომ ხედვა შუამავალი რგოლია მისიასა და სტრატეგიულ გეგმას შორის;
- ✓ დაწესებულებამ ღირებულებები დააკორექტიროს იმგვარად, რომ გამოიკვეთოს პრინციპები, როგორც ერთ შემთხვევაშია - „გუნდური მუშაობა“.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მისია, ხედვა და ღირებულებების დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავება გამოიკვეთა ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ქ. გარდაბნის #3 ბაგა-ბაღში დასაქმებულებთან ინტერვიუებით. დაწესებულების მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში, კერძოდ „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი“, აღწერილია მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესი. ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (ბ31. 18242681 – 24.09.2024) შექმნილია სამუშაო ჯგუფი, წევრთა შემადგენლობა განისაზღვრა 11 პირით - 10 დაწესებულების თანამშრომელი (დაწესებულების დირექტორი პირველი მოადგილე, მოადგილე, მეთოდური განყოფილების ხელმძღვანელი, დაწესებულების მთავარი სპეციალისტი, მთავარი ბუღალტერი, იურისტი, სართიჭალის #2 ბაგა-ბაღის მეთოდისტი, სართიჭალის #2 ბაგა-ბაღის მეთოდისტი მენეჯერი, გარდაბნის #1 ბაგა-ბაღის აღმზრდელი, ნორიოს საბავშვო ბაგა-ბაღის მეთოდისტი) და 1 მშობელი. დოკუმენტში ჯგუფის წევრთა ჩამონათვალი, პოზიციებთან ერთად გათვალისწინებულია სახელები და გვარები. საგულისხმოა, რომ სტრატეგიული გეგმა 5 წლიანია (2023-28) და მასში შეტანილი სამუშაო ჯგუფის წევრთა სახელები და გვარები, ჯგუფის ერთი (ნებისმიერი) ან რამდენიმე წევრის შეცვლა გამოიწვევს სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანას.

ბრძანებაში განსაზღვრული არ არის ჯგუფის წევრთა ვალდებულებები, პასუხისმგებლობები და შესრულების ვადები ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სტრატეგია 2023-28 - სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის (გვ. 2) თავის „სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება“ შესაბამისად. დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება მოხდა გაერთიანების დირექტორის მიერ ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრთა მიერ. შედეგად, სამუშაო ჯგუფმა იმუშავა ინტერაქციულად და შეთანხმდა საბოლოო ვერსიებზე. რაც დასტურდება სამუშაო ჯგუფის ოქმით (#1; 24.09.25).

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების მარეგულირებელ დოკუმენტებში, გაკეთებულია ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის ჩანაწერები, კერძოდ: „ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სტრატეგია 2023-28“ დოკუმენტის მიხედვით (ქვეთავი „მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბება“, გვ. მე-3) მისია, ხედვა და ღირებულებები მტკიცდება 5 წლით. ყოველწლიურად ხდება მისიის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელება. თუ ცვლილებების განხორციელება აუცილებელია, განახლებული მისია, ხედვა და ღირებულებები მტკიცდება ბრძანებით გაერთიანების ხელმძღვანელის მიერ“. ხოლო მეორე დოკუმენტში „სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგის შეფასების წესი“ (მუხლი მე-8, პ. მე-4) მითითებულია, რომ „მისია, ხედვა და ღირებულებები არ მტკიცდება“.



ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ სტრატეგია 2023-28 - სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტში, ჯგუფის ერთი ან რამდენიმე წევრის ცვლილების შემთხვევაში, აუცილებელი ცვლილებების შეტანის თავიდან აცილების მიზნით, სამუშაო ჯგუფის წევრთა შემადგენლობაში მიუთითოს მხოლოდ პოზიცია/პოზიციები;
- ✓ პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის დაცვის მიზნით, უზრუნველყოს სამუშაო ჯგუფის ბრძანებასა (ბ31. 18242681 – 24.09.2024) და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში - 2023-28 მითითებული ჯგუფის წევრთა სახელების და გვარების მარკირება;
- ✓ დაწესებულებამ ბრძანებაში (ბ31. 18242681 – 24.09.2024) განსაზღვროს ჯგუფის წევრთა ვალდებულებები, პასუხისმგებლობები და შესრულების ვადები ისე, როგორც ეს მოცემულია ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სტრატეგია 2023-28 - სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით (გვ. 2) თავის „სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება“ მიხედვით. დირექტორის ბრძანება და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია (სტრატეგია 2023-28, გვ. მე-2) მოიცვანოს შესაბამისობაში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარების და საჯაროობის მექანიზმები განსაზღვრულია „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესით“, რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ბრძანებით

(ბ31. 182513912, 19.05.2025). მისია, ხედვა, ღირებულებები განთავსებულია ბაგა-ბაღის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსებული და ხელმისაწვდომია საჯაროდ.

დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ელექტრონული ფოსტისა და Facebook გვერდის საშუალებით ხდებოდა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებული პროექტის გაზიარება, ასევე უკუკავშირის მიღება და საბოლოო ვარიანტის განთავსება თვალსაჩინო ადგილზე, რაც დადასტურებული იქნა ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ ბრძანებები - ბ31. 18242681 – 24.09.2024; ბ31. 182513912 – 19.05.2025 და სტრატეგიაზე მომუშავე პასუხისმგებელი ჯგუფის კრების ოქმი #1; 24.09.2024 მოიყვანოს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებასთან (№414 1999 წლის 1 ივლისი, „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ საქმისწარმოების ერთიანი წესები“ თავი I მმართველობითი დოკუმენტების მომზადება კარი მე-2 თავი 1, მუხლი 17. ბრძანება 1. და მუხლი 20. ოქმი) შესაბამისობაში;

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ გარდაზნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საამღმრდელო დაწესებულების სტრატეგია 2023-2028;
2. მისია, ხედვა, ღირებულებების ფოტო განთავსებული დაწესებულების სივრცეში;
3. სტრატეგიული დაგეგმვის და მონიტორინგისა და შეფასების წესი;
4. სტრატეგიული დაგეგმვის და მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანება ბ31. 182513912, 19.05.25;
5. სტრატეგიული დაგეგმვის და მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება № ბ31.18242681; 24.09.2024;

6. სტრატეგიაზე მომუშავე პასუხისმგებელი ჯგუფის კრების ოქმი #1; 24.09.2024;
7. ამონაწერი საქართველოს პრეზიდენტის №414 ბრძანებულებიდან (1999 წლის 1 ივლისი); „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ საქმისწარმოების ერთიანი წესები“;
8. ბრძანება ბ31. 18251422; 22.05.2025 - „სტრატეგიული დაგეგმვა 2023-28“ შესახებ;
9. ინტერვიუებით და ვიზუალური დათვალიერებით;
10. სოციალური გვერდი <https://www.facebook.com/GardabaniKidsGardens>

შეფასება:			
1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა, ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმწრდელო დაწესებულების სტრატეგია 2023-28, დამტკიცებული გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება (№90; 31.10.2023) „გარდაბნის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების 2023-28 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ და ბრძანება (ბ31. 18251422, 22.05.2025) „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმწრდელო დაწესებულების“ ბაგა-ბაღბისთვის „სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ და „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ და ბრძანება (ბ31 182513912, 19.05.2025) „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ დამტკიცების შესახებ, რომელიც წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიურ დოკუმენტს, დოკუმენტი სტატუსის მადიებლის თვითშეფასების ფორმის დანართია და განსაზღვრავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგის პერიოდულობას, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, გაზიარებისა და

დამტკიცების პროცესს, პასუხისმგებელი პირებისა და მონაცემთა შეგროვების რეკომენდებულ მეთოდებს, ასევე, შეფასებაზე პასუხისმგებელი პირების მონაცემების ანალიზისა და პროცედურების აღწერას. გათვალისწინებულია დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებებისა შეტანა და გაზიარება (გვ. 5).

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ნაწილში იკვეთება მშობელთა საკონსულტაციო საბჭოების არსებობა, რაც ხელს შეუწყობს მშობლის ჩართულობას ბავშვის მუშაობაში, თუმცა მშობელთა საკონსულტაციო საბჭოს არჩევის წესი, ფუნქციის/ვალდებულება/პასუხისმგებლობის შესახებ ჩანაწერი არ არის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ სამუშაო ჯგუფის ბრძანებაში გამოკვეთოს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე/ხელმძღვანელი, რომელსაც დაეკისრება პასუხისმგებლობა და კოორდინაციას გაუწევს სამუშაო ჯგუფის მუშაობას;
- ✓ დაწესებულებამ სამუშაო ჯგუფის ბრძანებით გაითვალისწინოს ჯგუფის თავმჯდომარე, მოადგილე და მდივანი და მათ მიერ შესასრულებელი სამუშაო და უფლებამოსილების ვადა, როგორც ეს გაწერილია ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის მიერ 2025 წლის 19 მაისს დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ დოკუმენტში (ბრძანება ბ31. 192513912) მუხლი მე-7;
- ✓ თავფურცელზე სტრატეგია 2023-28 ნაცვლად დაიწეროს სრულად - 2023-2028, და თარიღი მიეთითოს ზუსტად;
- ✓ ბრძანებაში მითითებული სათაურები „დამტკიცდეს „სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ და „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის წესი“ სათაურები მოიყვანოს შესაბამისობაში“;
- ✓ გამოკვეთოს მშობელთა საკონსულტაციო საბჭოების არჩევის წესი, ფუნქციები, ვალდებულებები, პასუხისმგებლობები;
- ✓ გამოკვეთოს ვის აქვს სამუშაო ჯგუფის სხდომების დაოქმების ვალდებულება/პასუხისმგებლობა და ტექნიკურ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი (გაზიარება, გაგზავნა, ვებგვერდზე ატვირთვა და სხვა).

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა, სტრატეგიული გეგმა, რომელიც არის ხუთწლიანი, რომელიც არის ციკლური და შეესაბამება მისიას, ხედვას და ღირებულებებს. მასში მოცემულია მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა იწყება მოქმედი სტრატეგიული გეგმის ვადის გასვლამდე არაუგვიანეს 4 თვით ადრე ან შესაბამისი სამართლებრივი/ფაქტობრივი ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სტრატეგია 2023-28, დამტკიცებული გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №90; 31.10.2023; „გარდაბნის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების 2023-28 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“. განკარგულების მე-2 მუხლი, დავალების ნაწილი ბუნდოვანია, კერძოდ: „დაევალოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება“ სტრატეგიის შესრულება“. გარდაბნის სკოლამდელი განათლების 2023-28 წლების სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს 2-დან 6 წლამდე ბავშვების სკოლამდელი აღზრდისა და განათლებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად. გეგმა მოცემულია ნარატიული სახით და ეფუძნება დაწესებულების სიტუაციურ ანალიზს, სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია ოთხი პრიორიტეტული მიმართულება, კერძოდ: 1. კეთილდღეობა, ფიზიკური გარემო და ინფრასტრუქტურა; 2. საგანმანათლებლო პროცესი და რესურსი; 3. ოჯახისა და თემის მონაწილეობა; 4. ინკლუზიური განათლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს (5 მიზანი) და შესაბამის ამოცანებს. დოკუმენტში ზოგ შემთხვევაში გამოიყენება „აღსაზრდელები“, ხოლო ზოგან „ბავშვები“ (მიმართ. 1. მიზანი 2. ამოცანა 2.3.). სტრატეგიულ გეგმაში აქტივობების შესახებ ჩანაწერი არ არის.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში მოცემულია SWOT ანალიზი - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, საფინანსო ხარჯთაღრიცხვა, რომელშიც წარმოდგენილია გარდაბნის მუნიციპალიტეტში შემავალი 34 ბაგა-ბაღის საფინანსო ხარჯთაღრიცხვა.

დაწესებულების დოკუმენტებში - „სტრატეგია 2023-28“ (გვ. 3) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების ნაწილში აღნიშნულია, რომ „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება მოიცავს კონკრეტულ, გაზომვად, მიღწევად, რეალისტურ და დროში განსაზღვრულ (SMART) მიზნებს, მათ მისაღწევად საჭირო ამოცანებს, ინდიკატორებს და რისკებს“.

ღირებულებებთან მიმართებით შეიძლება ითქვას, რომ გუნდური მუშაობა და თვითგანვითარებაზე ზრუნვა (ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა, ბავშვის ასაკობრივი განვითარებისკენ სწრაფვა, პოზიტიური გარემოს შექმნა), ნამდვილად არის ის პრინციპები, რომელთა

გათვალისწინება უზრუნველყოფს დასახული მიზნების შესრულებას. თუმცა, გასამართია ღირებულებების ნაწილი, რათა საზოგადოებისთვის მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული ის მოლოდინები, რომელიც უკავშირდება დაწესებულების იმიჯს.

სტრატეგიული გეგმა, ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ერთ ქუდქვეშ მყოფი დაწესებულებებისათვის, არის ერთნაირი, არ არის ჩაშლილი კონკრეტული ბაგა-ბაღის საჭიროებები.

„სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესი“-ს მე-3 მუხლის მიხედვით „სააღმზრდელო დაწესებულების დაგეგმვის პირად განსაზღვრულია სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორი, თუმცა ამის შესახებ არსადაა დაფიქსირებული.

დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დოკუმენტი „ქ. გარდაბნის #3 ბაგა-ბაღის 2024-2025 სასწავლო წლის გრძელვადიანი (ერთწლიანი) სამუშაო გეგმა“, დოკუმენტით გათვალისწინებულია სააღმზრდელო გეგმა, მასში ჩაშლილია 4 სტრატეგიული მიზანი (1. სკოლამდელი ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა; 2. სხვადასხვა რგოლთან თანამშრომლობის გაძლიერება; 3. საბავშვო ბაღების ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება; 4. დაწესებულების საგანმანათლებლო და ტექნიკური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა) და ითვალისწინებს ამოცანებს, აქტივობებს, პასუხისმგებელ პირს, ადამიანურ რესურსს, მატერიალურ რესურსსა და განხორციელების ვადებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ განკარგულების მე-2 მუხლი, დავალების ბუნდოვანი ნაწილი - „დაევალოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება“ სტრატეგიის შესრულება“ ჩამოაყალიბოს და რათა გახდეს უფრო გასაგები და დააზუსტოს რომელი სამართლებრივი აქტით/ბრძანებითა განსაზღვრული სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელ პირად დირექტორი;
- ✓ მკაფიოდ ჩამოაყალიბოს ღირებულებების ნაწილი, რათა საზოგადოებისთვის მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული ის მოლოდინები, რომელიც უკავშირდება დაწესებულების იმიჯს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სამოქმედო გეგმა (2024-2025 წწ.) შედგენილია ერთწლიანი პერიოდისათვის და ემთხვევა სასწავლო წელს, მისი მიზანია ხელი შეუწყოს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელებას („სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“ - მუხლი მე-11, პუნქტი 1.). სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და ჩაშლილია „გარდაბნის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების 2023-28 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტში. ვინაიდან დაწესებულება პირველადი ავტორიზაციის პროცესშია, დაწესებულებას ყოველწლიური თვითშეფასების კითხვარი შევსებული არ აქვს.

ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება (ბ31. 18251422, 22.05.2025) „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების“ ბაგა-ბაღისთვის „სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის“ და „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ. მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია მოიცავს: სამოქმედო გეგმის შემუშავების, გაზიარებისა და დამტკიცების პროცესს, პერიოდულობას, პასუხისმგებელი ერთეულებისა და მონაცემთა შეგროვების რეკომენდებულ მეთოდებს, ასევე შეფასებაზე პასუხისმგებელი ერთეულებს, მონაცემების ანალიზისა და პროცედურების აღწერას. გათვალისწინებულია დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებებისა შეტანა და გაზიარება (გვ. მე-5). სამოქმედო გეგმის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დაწესებულების დირექტორის ბრძანებას (ბ31. 18251422, 22.05.2025 „სტრატეგია - 2023-28“ დამტკიცების შესახებ“ არ იკვეთება.

სამოქმედო გეგმა ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებებისათვის არის ერთნაირი, არ არის ჩაშლილი/შემუშავებული კონკრეტული ბაგა-ბაღის საჭიროებები.

ამგვარად:

- ✓ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა (ბრძანება დამტკიცებაზე არსებობს - ბ31. 18251422; 22.05.2025) დამტკიცებულია;
- ✓ სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი და გათვლილია ერთი სასწავლო წლის პერიოდისათვის;
- ✓ სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ თავფურცელზე დატანა, კერძოდ: „ვამტკიცებ“ ან/და „დამტკიცებულია“, როგორც ამას ითვალისწინებს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის #414 ბრძანებულება;
- ✓ სამართლებრივი აქტით/ბრძანებით განისაზღვროს დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ერთეული.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სტრატეგიულ გეგმაში მოცემული მიზნების მიღწევის გზას. გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (ბ31 18251422, 22.05.25). დაწესებულებამ წარმოადგინა წესდება, რომელშიც იკითხება, რომ დაწესებულების დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს-ბრძანებებს (გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბრძ. ბ.18. 18242964; 22.10.2024, წესდების მე-4 მუხლის 4.2. პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი). „სამოქმედო გეგმა შედგენილია ერთწლიანი პერსპექტივით და ემთხვევა სასწავლო წელს. ჩამოყალიბებულია მიზნები, კერძოდ: 1. დაწესებულების დაქვემდებარებაში მყოფი ბავა-ბალების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; 2. აღსაზრდელებისა და პერსონალის ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობის გაძლიერება; 3. ბავა-ბალებში საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის ამაღლება; 4. ოჯახთან და თემთან თანამშრომლობის გაძლიერება; 5. სხვადასხვა ტემპისა და საჭიროების მქონე ბავშვების განვითარების ხელშეწყობა.

- ✓ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები;
- ✓ აქტივობები შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს;
- ✓ გაწერილია აქტივობების შესრულების თვისებრივად გაზომვადი ინდიკატორები;
- ✓ გაწერილია აქტივობების შესრულების ვადები და ეს ვადები რეალისტურია;
- ✓ გაწერილია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები;
- ✓ გაწერილია აქტივობების შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ დოკუმენტში გამოიყენოს (ერთი და იგივე) ტერმინი „ბავშვები“, ნაცვლად „აღსაზრდელებისა“;
- ✓ ანგარიშში დასახელებული სახელები და გვარები იყოს მარკირებული.
- ✓ დაწესებულებამ 2024 წლის ანგარიშში გამოკვეთოს სუსტი მხარეების დაძლევის/გამოსწორების შესახებ ინფორმაცია, რაც მეტად ინფორმაციულს გახდის წარმოდგენილ ანგარიშს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (ბ31. 182513912; 19.05.2025) დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი“, განსაზღვრავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტი ადგენს მონიტორინგის და შეფასების პროცესის არსს, პროცესის განხორციელების პერიოდულობას, სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში ორჯერ, შუა საანგარიშო პერიოდში (2,5 წელს) და დასასრულს (დასრულებამდე არაუგვიანეს 4 თვისა), ხოლო სამოქმედო გეგმის შემთხვევაში მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ორჯერ სემესტრულად (მე-13 მუხლი) - სამოქმედო გეგმის შუა და დასასრულ პერიოდში, შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ და მოიცავს ნარატიულ, წერილობით ანგარიშს შესრულებული აქტივობების შესახებ, რაც დადასტურდა სასწავლო სააღმზრდელო პროცესის მონიტორინგისა და კოორდინაციის განყოფილების (მეთოდური განყოფილება) უფროსის ანგარიში 2024 წ. - ანგარიშით. აქტივობები შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაწესებულებას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შეფასების პროცესის განხორციელება ამ ეტაპისთვის არ უწევს. დაწესებულებას აქვს მზაობა მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს დადგენილი მექანიზმების შესაბამისად.

შეფასება ხდება წელიწადში ერთხელ და მოიცავს ნარატიულ წერილობით ანგარიშს შესრულებული აქტივობების შესახებ, რომელიც ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებსა და მონაცემის შეგროვების მეთოდებს, რომელსაც განსაზღვრავს მონიტორინგის ჯგუფი. შეფასების ანგარიში მოიცავს: „შეფასების მიზანი და პერიოდი, მეთოდოლოგია, მონიტორინგისა და ანალიზის ძირითადი მიგნებები, ამოცანებისა და ინდიკატორების შეფასება, ძირითადი პრობლემები და გამოწვევები, რეკომენდაციები. მონიტორინგი ხორციელდება პირისპირ ან ონლაინ შეხვედრის მეშვეობით,

სადაც განიხილება „სამოქმედო გეგმის შესრულების მაჩვენებლების განსაზღვრა, ხდება აქტივობისათვის შესაბამისი მიღწევის შესრულების მინიჭება - შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, ვერ შესრულდა და შეჩერდა“. აღნიშნულის შესახებ მითითებულია სტრატეგიული მეთოდოლოგიის მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში (გვ. მე-4). იმის გათვალისწინებით, რომ ანგარიშის დანიშნულება დაინტერესებულ/ჩართულ მხარეებს მიაწოდოს ინფორმაცია მიღწეული პროგრესის შესახებ. ანგარიშში არაა წარმოდგენილი ინფორმაცია სუსტი მხარეების შესახებ, რა იყო სუსტი მხარეები და რისი გამოსწორება იქნა მიღწეული. SWOT ანალიზში წარმოდგენილი სუსტი მხარეების პუნქტების ნაწილი აღმოაჩინდა, მაგ. „ბავშვთა ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგია“ შემუშავებულია, ყველა ბაღებისთვის მიწოდებულია განახლებული სტანდარტი და ა.შ. სასურველია დაწესებულებამ გადახედოს SWOT ანალიზს. ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (ბპ1. 182513912; 19.05.2025) დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი“-ს მიხედვით (მუხლი მე-15) საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე გამოყოფილ სივრცეში განთავსება, მაგრამ ვებგვერდზე განთავსებულია 2023 წლის ანგარიში, რომელიც არ იხსნება, ხოლო 2024 წ. ანგარიში არ არის განთავსებული, რომლის გამოქვეყნების ვალდებულებაც აქვს დაწესებულებას.

ამგვარად:

- ✓ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად გაწერილი სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2.5) და ბოლოს;
- ✓ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად გაწერილი სტრატეგიული გეგმის შეფასება ხორციელდება ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2.5) და ბოლოს;
- ✓ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად გაწერილი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ორჯერ, სემესტრულად სამოქმედო გეგმის შუა და დასასრულ პერიოდში, დამტკიცებიდან 6 თვის თავზე;
- ✓ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად გაწერილი სტრატეგიული გეგმის შეფასება ხორციელდება ერთჯერ, სამოქმედო გეგმის დასასრულს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ გადახედოს SWOT ანალიზის სუსტი მხარეების ნაწილს და შეიტანოს ცვლილებები;
- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს მის მიერ დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესის“ (მუხლი მე-15) დაცვა და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, 2024-2025 წწ. ანგარიში განთავსოს მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე გამოყოფილ სივრცეში www.gardabani.gov.ge

- ✓ 2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშში ასახოს აქტივობისათვის შესაბამისი მიღწევის შესრულების მინიჭების - შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, ვერ შესრულდა და შეჩერდა“ შესახებ, რაზეც მითითებულია სტრატეგიული მეთოდოლოგიის მონიტორინგისა და შეფასების ნაწილში (გვ. მე-4), ისარგებლოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ველში რეკომენდებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების ჩამონათვალი წარმოდგენილი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების ჩამონათვალი და აღმწერი“-ს დანართი #3 „რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირების ნიმუში“-თ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (ბ.31. 182513912, 19.05.2025) დამტკიცებულ დოკუმენტის „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი“, თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების შედეგები თავს იყრის ანგარიშში, რომელის ანალიზზეც პასუხისმგებელია ბრძანებით განსაზღვრული შესაბამისი სამუშაო ჯგუფი. თუმცა ბრძანებაში განსაზღვრული არ არის კონკრეტული პირი/ერთეული, ვინც თავს მოუყრის ანალიზს. ანგარიშების საჯაროობისა და გაზიარებისთვის გამოიყენება შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტით (გვ. მე-2, მუხლი მე-6) განსაზღვრული საკომუნიკაციო არხები: ელექტრონული ფოსტა; საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები, ვორქშოპები და ა.შ); სოციალური მედია <https://www.facebook.com/GardabaniKidsGgardens/about>; ბეჭდვითი მასალები (ფლაერები, ბანერები და ა.შ), სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით. თუმცა ამ ეტაპზე დაწესებულების ვებ-გვერდზე არა აქვს გამოქვეყნებული გასული, 2024 წლის ანგარიში. მეთოდოლოგიური დოკუმენტის მიხედვით შეფასების შედეგებს ბაგა-ბაღი გამოიყენებს შემდგომი განვითარებისთვის.

ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სტრატეგია 2023-28 მიხედვით, სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგები წერილობითი სახით წარედგინება საკრებულოს, დაწესებულებათა წარმომადგენლებს, სტრატეგიულ დაგეგმარებაზე პასუხისმგებელ გუნდსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს (გვ. მე-5, ბულეტი 5 - გაზიარებისა და საჯაროობის ნაწილი), აღნიშნულის შესახებ მტკიცებულებები დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ განსაზღვროს ბრძანებაში კონკრეტული პირი/ერთეული, ვინც თავს მოუყრის ანალიზს, შემდგომში ანგარიშის სრულყოფისათვის;
- ✓ 2024 წ. ანგარიში განათავსოს ვებგვერდზე, როგორც ეს გათვალისწინებულია „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგის და შეფასების წესი“-თ;

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების წესდება“ – (ბრძანება ბ18. 18242964; 22.10.2024, მუხლი მე-44.2. პუნქტი „ვ“ ქვეპუნქტი);
2. ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სტრატეგია 2023-28;
3. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ ბრძანება ბ31. 18251422; 22.05.2025;
4. სტრატეგიული დაგეგმვის განკარგულება № 90-06-4-2023 10311729; 31.10.2023;
5. სტრატეგიაზე მომუშავე პასუხისმგებელი ჯგუფის კრების ოქმი - №1; 24.09.2024 წელი;
6. წლიური ანგარიში (2024 წელი);
7. სტრატეგიული გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის შესახებ ბრძანება - ბ31. 18242681; 24.09.2024;
8. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი;
9. სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესახებ ბრძანება ბ31.182513912; 19.05.2025;
10. ინტერვიუებით;
11. ქ. გარდაბნის #3 ბაგა-ბაღის 2024-2025 სასწავლო წლის გრძელვადიანი (ერთწლიანი) სამუშაო გეგმა“.

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2. კურიკულუმი³

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

კურიკულუმის დასახელება

1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის დამტკიცების ამსახველი დოკუმენტი (ბრძანება ბ31.18251391-19/052025; ა(ა)იპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების“ ბაგა-ბაღებისთვის კურიკულუმის დამტკიცების შესახებ), რითაც დასტურდება, რომ დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს კურიკულუმებით 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკის ჯგუფებისთვის; 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ მხოლოდ 5-დან 6 წლის ასაკის ბავშვების ჯგუფისთვის. ასევე, კურიკულუმის შერჩევის დოკუმენტი „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ ბრძანებით (ბ31.182513914-19/05/2025), ხოლო, ბაგა ბაღებში საგანმანათლებლო პროცესის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით, სრულყოფილად წარმართვისთვის, კურიკულუმის შესარჩევად სპეციალისტთა ჯგუფის დამტკიცების შესახებ ბრძანება (ბ31.182513915-19/05/25) და კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის კრების ოქმი №1. (ა.ა).ი.პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება 03-04-2025 წელი) დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს, რომ კურიკულუმი, რომლითაც ხელმძღვანელობს წინასწარ არის შერჩეული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

³მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკის ჯგუფებისთვის. ხოლო 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ მხოლოდ 5-დან 6 წლის ასაკის ბავშვების ჯგუფისთვის.

1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ ხელსუწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას, რაც ვლინდება შემდეგნაირად თუ როგორ უნდა დაგეგმონ, განახორციელონ და შეაფასონ ის გამოცდილებები და საქმიანობები, რომლებსაც დაწესებულება სთავაზობს ბავშვებს ყველა სფეროს და მიმართულების კომპეტენციის განვითარებისათვის. კურიკულუმს ორი მთავარი მიზანი აქვს - **ჯგუფის ერთობა** და **კვლევა-აღმოჩენა**, თუმცა ის თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის განვითარების ყველა სფეროს და მისი შინაარსი და მეთოდოლოგიური მითითებები ხელსუწყობს ბავშვის სწავლისა და კეთილდღეობის მყარი საფუძვლის შექმნას. კურიკულუმი აღიარებს:

- ✓ ბავშვს, როგორც საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესის აქტიურ მონაწილეს;
- ✓ თამაშს და მრავალფეროვან, ასაკის შესაბამის გამოცდილებებს, როგორც ბავშვის განვითარების აუცილებელ პირობას;
- ✓ ბავშვების ოჯახებსა და თემთან თანამშრომლობას, როგორც ბავშვებთან შედეგიანი მუშაობის მნიშვნელოვან ელემენტს;

კურიკულუმში წარმოდგენილია ყველა ელემენტი (მიზანი, შინაარსი, მეთოდოლოგია, ფიზიკური გარემო, შეფასება) და ფარავს განვითარების ხუთივე სფეროსა და სამ მიმართულებას შესაბამისად ის სრულ თანხვედრაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ კურიკულუმს რამდენიმე მიზანი აქვს:

- ✓ განუვითაროს ბავშვს მომავალი ცხოვრებისათვის, წარმატებულ მოქალაქედ ფორმირებისათვის, მეგობრებსა და ოჯახის წევრებთან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის საჭირო უნარები;

- ✓ დაეხმაროს ბავშვს საუკეთესო არჩევანის გაკეთებასა და ახალ გამოწვევებთან გამკლავებაში; კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში;
- ✓ ხელიშეუწყოს ბავშვის ფიზიკურ და ემოციურ სიჯანსაღეს;
- ✓ მოამზადოს ბავშვი პირველი კლასის მოსწავლის მიმართ არსებული მოლოდინებისა და გამოწვევებისათვის;
- ✓ შეუქმნას ბავშვს პოზიტიური განწყობა სწავლისადმი.

სასკოლო მაზოაბის პროგრამა „თამაშის“ გამოყენება შეიძლება მხოლოდ 5-6 წლიან ბავშვების ჯგუფში და დაუშვებელია ამ კურიკულუმით უფრო პატარა ბავშვებთან მუშაობა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკის ჯგუფებისთვის. ხოლო 2. სასკოლო მაზოაბის პროგრამა „თამაში“ მხოლოდ 5-დან 6 წლის ასაკის ბავშვების ჯგუფისთვის.

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, რაც ვლინდება შემდეგნაირად იგი აღიარებს თამაშს და მრავალფეროვან ასაკის შესაბამის გამოცდილებებს, როგორც ბავშვის განვითარების აუცილებელ პირობას. საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში, დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს საშუალება ჩაერთოს სხვადასხვა ტიპის თამაშში, როგორც ინდივიდუალურად ასევე ჯგუფურად შენობასა თუ მის გარეთ. კურიკულუმის მიხედვით ბავშვი აქტიური შემმეცნებელია საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში, ბავშვს შესაძლებლობა ეძლევა

გამოთქვას ვარაუდები, შეხედულებები, მიიღოს გადაწყვეტილებები, გააკეთოს თავისუფლად არჩევანი. ბავშვი კეთებით სწავლობს, აღმოჩენებით, ცდის და შეცდომის გზით, იდეების მოსინჯვით იგი უკეთესად შეიმეცნებს სამყაროს საკუთარი გამოცდილებით, როდესაც თავად ეძებს კითხვებზე პასუხებს, ვიდრე მზა ცოდნის მიწოდებით და ინფორმაციის პასიური დამახსოვრებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი:1. „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკის ჯგუფებისთვის. ხოლო 2. „სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ მხოლოდ 5-დან 6 წლის ასაკის ბავშვების ჯგუფისთვის.

კურიკულუმი აღიარებს ბავშვების ოჯახებსა და თემთან თანამშრომლობას, როგორც ბავშვებთან შედეგიანი მუშაობის მნიშვნელოვან ელემენტს ბავშვის სწავლასა და განვითარებაში, რაც გაწერილია შემდეგნაირად კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას ბაღის საგანმანათლებლო პროცესში და პროგრამულ გადაწყვეტილებებში, ბავშვების სწავლისა და განვითარების პროცესში და ბოლოს, მშობელთა განათლებას და ცნობიერების ამაღლებას ადრეული განათლების და ადრეულ ასაკში განვითარების მნიშვნელობასა და თავისებურებებზე. ხოლო თემის რესურსების გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესში და მათი გამოცდილების გაზიარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს შერჩეული კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკის ჯგუფებისთვის. ხოლო 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ მხოლოდ 5-დან 6 წლის ასაკის ბავშვების ჯგუფისთვის.

კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება შემდეგნაირად კურიკულუმის მიხედვით სასწავლო პროცესი დაფუძნებულია თამაშზე, რომელიც მოიცავს: აზრის გამოთქმის, ექსპერიმენტებს, გამოგონებებს, შექმნას, კვლევას, დაკვირვებას, მრავალფეროვანი მასალების გამოყენების შესაძლებლობას სხვადასხვა ასაკისა და განვითარების მქონე ბავშვებისთვის. კურიკულუმი ითვალისწინებს ბავშვის ასაკს და განვითარებას, საჭიროებებს, ინტერესებს, პიროვნულ, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებს შესაბამისი მრავალფეროვანი გამოცდილებების, თამაშების, აქტივობების შეთავაზებით. ამრიგად, საქმიანობები უნდა შეირჩეს ბავშვის ინტერესებიდან და განვითარების ეტაპიდან გამომდინარე, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბავშვების სრულფასოვანი ჩართულობა და განვითარება. რაც ვლინდება იმაში, რომ თამაშის ტიპები და სწავლა-სწავლების ფორმები შერჩეულია ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისად, ხოლო აღმზრდელი ივალისწინებს თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებს, საჭიროებებსა და ინტერესებს საქმიანობების დაგეგმვისას, რადგან კურიკულუმში ხაზგასმულია, რომ ყველა აქტივობა უნდა იყოს მორგებული ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებსა და განვითარების დონეს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.....
.....

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი: 1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 5-წლამდე და შერეული ასაკის ჯგუფებისთვის. ხოლო 2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“ მხოლოდ 5-დან 6 წლის ასაკის ბავშვების ჯგუფისთვის. დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ ბრძანებით (ბ31.182513914-19/05/2025) გაწერილი აქვს (მუხლი 3. კურიკულუმის გაზიარების მექანიზმი), სადაც იკითხება, რომ დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს, დაინტერესებულ მხარეებს კი წარმოადგენენ მშობლები, დაწესებულების პერსონალი, თემი/მუნიციპალიტეტი, ხოლო გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“, რომელიც ასევე დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ ბრძანებით (ბ31.182513914-19/05/2025) წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს (მუხლი 4. საკომუნიკაციო არხების შერჩევა). დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს განმარტეს, რომ შერჩეული კურიკულუმი გააზიარა პერსონალთან, ამისთვის მათ დაგეგმეს შეხვედრა, სადაც გააზიარეს ინფორმაცია კურიკულუმის შესახებ, თუ რომელი კურიკულუმის დამტკიცება მოხდა მათ მუნიციპალიტეტში, როგორია ეს კურიკულუმი, რას მოიცავს, რა უნდა გაითვალისწინონ და როგორ უნდა შეძლონ კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევა. დაწესებულებას ამ ინდიკატორთან მიმართებაში აქვს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა ვინაიდან დაწესებულება პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია და კურიკულუმი უკვე გაზიარებული აქვს პერსონალთან ამ ეტაპისთვის გაზიარებული ვერ ექნება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა
.....
.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დეკლარირებული კურიკულუმი;
- კურიკულუმის, შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი;
- ოქმი №1 კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის კრების ოქმი;
- იტერვიუ.

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობას და პერიოდულობას განსაზღვრავს შემდეგნაირად: საგანმანათლებლო პროცესის მიმდინარე დაგეგმვით, რომელიც გულისხმობს საგანმანათლებლო პროცესის ყოველკვირეულ დაგეგმვას. ხოლო შემდგომში პროექტის მეთოდზე მუშაობის შემთხვევაში ეს ვადები შესაძლებელია იყოს უფრო ხანგრძლივი საჭიროებებიდან გამომდინარე მანამ სანამ ბავშვებს პროექტისადმი ინტერესი ექნებათ. დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი“, რომელიც დამტკიცებულია ა. (ა). ი. პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ ბრძანებით (ბ31.18251473-27/05/2025) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის მექანიზმი, რომელში გაწერილი პერიოდულობა და ხანგრძლივობა შემდეგნაირია: ყოველკვირეული და ყოველწლიური და აღნიშნული შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულს, რაც ვლინდება, მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმების შაბლონის არსებობით, რომელიც დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ (ბ31.18251473-27/05/2025).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი“, რომელიც დამტკიცებულია ა.(ა).ი.პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ ბრძანებით (ბ31.18251473-27/05/2025) დოკუმენტში აღწერილია და წარმოდგენილია კურიკულუმის შესაბამისი მოკლევადიანი გეგმის და ასევე გრძელვადიანი გეგმის შაბლონი ასევე იკითხება, რომ გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რაც დასტურდება მოცემული დოკუმენტით („საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი“) ამ დოკუმენტის მიხედვით გრძელვადიანი გეგმები შეიქმნება სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და დაწესებულების ხელმძღვანელი, ხოლო რაც შეეხება მოკლევადიან გეგმების შექმნას იგი შეიქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ ბავშვთან. ხოლო მოკლევადიანი გეგმის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების მეთოდისტი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი“, რომელიც დამტკიცებულია ა.(ა).ი.პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ (ბ31.18251473-27/05/2025) ბრძანებით, დაწესებულებას დოკუმენტში გაწერილი აქვს მექანიზმი (მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა)საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია გრძელვადიანი და მოკლევადიან გეგმები შემდგომში ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც ვლინდება შემდეგნაირად ამავე დოკუმენტში (მუხლი 10. პორტფოლიოს წარმოება) გაწერილია, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი შემდგომში აწარმოებს შემდეგი ტიპის პორტფოლიოს:

- 1) აღმზრდელის პორტფოლიოს, რომელიც მოიცავს: დღის განრიგს, გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს, რეფლექსურ ჩანაწერებს და განვითარების ინდივიდუალური გეგმას (საჭიროების შემთხვევაში);
- 2) სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოს-მეთოდისტის, მუსიკის პედაგოგის, ფსიქოლოგის, სპეციალური პედაგოგის პორტფოლიოს, რომელიც მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ჯგუფებში/ბავშვებთან მუშაობის გრაფიკს/განრიგის, რეფლექსური ჩანაწერის, განვითარების ინდივიდუალური გეგმას (საჭიროების შემთხვევაში);

შესაბამისად, დაწესებულებას ამ მექანიზმის გათვალისწინებით გაწერილი აქვს საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილ დოკუმენტაციაში როგორ ასახოს ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, რომელიც დამტკიცებულია ა. (ა) .ი.პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ ბრძანებით (ბ31.18251473-27/05/2025), რითიც დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ვინაიდან დაწესებულების დოკუმენტით (მუხლი.4 ინდივიდუალიზაციის ასპექტი, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი) განსაზღვრული ინდივიდუალიზაცია ვლინდება:

- 1) მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის შეტანით/გაწერით;
- 2) დაწესებულების მიერ, ასევე დაწესებულების გარეთ არსებულ სერვის პროვაიდერთან (განვითარების ცენტრი) მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ინდივიდუალური გეგმის შემუშავების გზით.

დაწესებულებას ასევე დოკუმენტში (მუხლი 10. პორტფოლიოს წარმოება) გაწერილი აქვს, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი შემდგომში აწარმოებს შემდეგი სახის პორტფოლიოს:

- 1) ბავშვის ინდივიდუალურ პორტფოლიოს, რომელიც მოიცავს: ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს, ბავშვის შეფასების ჩანაწერებს, ბავშვის ნამუშევრებს, ბავშვის ნამუშევრის ფოტოებს და ბავშვების ფოტოებს სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს;
- 2) აღმზრდელის პორტფოლიოს, რომელიც მოიცავს: დღის განრიგს, გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს, რეფლექსურ ჩანაწერებს და განვითარების ინდივიდუალური გეგმას (საჭიროების შემთხვევაში);
- 3) სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოს-მეთოდისტის, მუსიკის პედაგოგის, ფსიქოლოგის, სპეციალური პედაგოგის პორტფოლიო, რომელიც მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ჯგუფებში/ბავშვებთან მუშაობის გრაფიკს/განრიგის, რეფლექსური ჩანაწერის, განვითარების ინდივიდუალური გეგმას (საჭიროების შემთხვევაში).

შესაბამისად დაწესებულებსი მხრიდან გაწერილი მექანიზმი უზრუნველყოფს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროების დანახვას, გამოვლენას და შესაბამის საგანმანათლებლო დოკუმენტაციაში მის ასახვით ამ საჭიროებებისთვის შესაბამისი რეაგირების მოხდენას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი იქნება თამაში/თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება მოკლევადიან, გრძელვადიან გეგმებში, დღის განრიგში თამაშისთვის საკმარისი დროის გამოყოფით, ფიზიკური გარემოს იმგვარად მოწყობით, რომ თითოეული ტიპის თამაშისთვის საკმარისი სივრცე იყოს, როგორც შენობის ჯგუფებში ისე ეზოში, შესაფერისი მრავალფეროვანი და საკმარისი ინვენტარისა და რესურსის მომარაგებით, ასევე პერიოდულად ახალი მასალის/რესურსის შეტანით და დასტურდება დაწესებულების მხრიდან „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა, შეფასების და რესურსის შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესით“, რომელიც დამტკიცებულია ა. (ა). ი. პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ ბრძანებით (ბ31.18251473-27/05/2025) და „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესით“, რომელიც ასევე დამტკიცებულია ა. (ა). ი. პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ ბრძანებით (ბ31.18251403-20/05/2025) სადაც (მუხლი 4. კურიკულუმის შეფასება და განვითარება) გაწერილია, რომ კურიკულუმის შეფასების მიზანია დაწესებულებამ დაადგინოს, რამდენად ეფექტიანად დაინერგება კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტი და რამდენად მიიღწევა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი საგანმანათლებლო პროცესის შეფასებისთვის გამოიყენება განხორციელებული აქტივობების ანალიზი, რუტინები, ტრანზიციები, განრიგი და მასში ბავშვის მიერ ინიცირებული საქმიანობებისა თუ თამაშებისთვის გამოყოფილი დროის მოცულობის ანალიზი. აგრეთვე, დაწესებულებას აქვს შემუშავებული დღის განრიგი, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს თამაში იკავებს. ასევე ინტერვიუს დროს

დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ თამაში არის ის ძირითადი ქცევა რასაც ბავშვები ბაღში უნდა ახორციელებდნენ, უფროსები კი უნდა მიყვნენ ბავშვების ინტერესებს, ტრანზიციის პროცესიც მხიარული უნდა იყოს და თამაშით, სიმღერით უნდა წარიმართოს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ექნება სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, როგორებიცაა: დრამატული-წარმოსახვითი, მოძრავი, კონსტრუქციული, სამაგიდო-წესებიანი, სენსორული, კვლევითი, შემოქმედებითი, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად რაც ვლინდება ფიზიკური გარემოს მოწყობით, შენობასა და ეზოში და დღის განრიგის თამაშის კომპონენტის არსებობით. ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ფიზიკური გარემო იმგვარადაა მოწყობილი, რომ ბავშვებს ხელი შეეწყოს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვისკენ, შემდგომში კი გეგმებში ასახული იქნება სხვადასხვა პროვოკაციები, რომლებიც ასევე საშუალებას მისცემს ბავშვებს ჩაერთონ სხვადასხვა ტიპის თამაშში, როგორც ჯგუფებში ასევე ეზოში. აგრეთვე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი“, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ ბრძანებით (ბ31.18251473-27/05/2025) (მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა) პუნქტი 3. დასტურდება, რომ მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმები სხვა მნიშვნელოვან პუნქტებთან ერთად მოიცავს თამაშზე ორიენტირებულ პროცესს და სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირებას, სხვადასხვა გარემოში, როგორც ჯგუფში ასევე გარეთ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი დოკუმენტით „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმი, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი“, რომელიც დამტკიცებულია ა. (ა). ი. პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ (ბ31.18251473-27/05/2025) ბრძანებით. მექანიზმში გაწერილი პროცესი უზრუნველყოფს რესურსების მიწოდებას შეუფერხებლად, რაც დასტურდება შემდეგნაირად, დოკუმენტი (მუხლი 5. საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა) გაწერილია, რომ სააღმზრდელო დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს. სააღმზრდელო დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს. სააღმზრდელო დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის, ბავშვის პოლისტური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შერჩეულ კურიკულუმებთან ერთად. სააღმზრდელო დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვრული მინიმალური რესურსი გაამდიდროს და გაამრავალფეროვნოს ამ მუხლის პუნქტების გათვალისწინებით. ხოლო (მუხლი 6. საგანმანათლებლოს პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება) გაწერილია შემდეგი პრინციპით:

1. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და პირდაპირი შესყიდვის გზით.

2. საგანმანათლებლო პროცესისთვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:

- ✓ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა/განახლება ბალების მიხედვით;

- ✓ შესაძენი საგანმანათლებლო რესურსის ერთიანი ბაზის ფორმირება ბალების მიხედვით;
- ✓ შესყიდვის შესახებ მოთხოვნის გაგზავნა მუნიციპალიტეტში/შესყიდვის განხორციელება;
- ✓ შეძენილი რესურსის მიღება და აღრიცხვა;
- ✓ შეძენილი საგანმანათლებლო განაწილება ბალების მიხედვით;
- ✓ შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ჯგუფებში;
- ✓ ხარჯვის აქტი/საგანმანათლებლო რესურსის ინვენტარიზაცია(დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდით).

საგანმანათლებლო რესურსის საჭიროების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, პერიოდული ინვენტარიზაციის გზით, ხოლო ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებისთვის, ასევე კურიკულუმის დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებისათვის ამ მუხლით (მუხლი 6. საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება) განსაზღვრული მექანიზმით ერთად დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს საგანმანათლებლო რესურსისთვის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი. ამ მუხლით განსაზღვრული მექანიზმების გარდა დაწესებულება ასევე იყენებს რესურსის მოძიების შემდეგ ალტერნატიულ გზებს: როგორებიცაა მოგროვება- როდესაც საგანმანათლებლო პერსონალისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობით რეგულარულად მოხდება ბუნებრივი და მეორადი რესურსის შეგროვება და მეორე დამზადება, რომლის დროსაც საგანმანათლებლო პერსონალის მიერ დაგეგმილი პროცესის(თემის, პროექტის) შესაბამისად რეგულარულად მოხდება სათამაშოების, რესურსის დამზადება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი. განსაზღვრული რესურსი არის დაწესებულების ბალანსზე რაც დასტურდება, წიგნების აღრიცხვის ჟურნალით, ხოლო ადგილზე ვიზიტისას გამოთხოვილი დოკუმენტით, სადაც მოცემულია

რესურსების ჩამონათვალი, ასაკობრივი ჯგუფები და რაოდენობები. რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობისთვის საკმარისია, ასევე ჯგუფური ოთახები დათვლიერების დროს კურიკულუმის შესაბამისი რესურსებით იყო უზრუნველყოფილი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად: ბავშვებისთვის მრავალფეროვანი გამოცდილებების უზრუნველსაყოფად ჯგუფში საჭირო სივრცეებია:

- 1) დრამატული სივრცე;
- 2) ხელოვნების სივრცე;
- 3) კვლევების(მეცნიერების) სივრცე;
- 4) სენსორული სივრცე;
- 5) კუბურების სივრცე;
- 6) სამაგიდო თამაშების სივრცე;
- 7) წიგნიერების სივრცე;
- 8) განმარტოვების სივრცე;
- 9) წრეზე შეხვედრების სივრცე;

ეს ის სივრცეებია, რომლებიც კურიკულუმის მიზნების მისაღწევად არის მნიშვნელოვანი, ასევე გასათვალისწინებელია, რომ აქტიური და პასიური თამაშის ცენტრები(სივრცეები) ისე იყოს ოთახში გადანაწილებული, რომ ხელს არ უშლიდეს ერთმანეთს. რაც შეეხება ეზოს ეზოც უნდა იყოს ისეთ ფუნქციურ სივრცეებად მოწყობილი, როგორებიცაა:

- 1) ადგილი მოძრავი თამაშებისთვის;
- 2) საძრომიალო;
- 3) მცენარეების ბაღი/ბოსტანი;
- 4) საქვიშე;
- 5) დრამატული თამაშების სივრცეები-ტალახის სამზარეულო;
- 6) ქოხი;
- 7) სახელოსნოს სივრცე(მაგიდა და სკამი სადაც ბავშვები შეძლებენ ხატვას).

დაწესებულების ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება დრამატული, ხელოვნების, კვლევა(მეცნიერების), სენსორული, კუბურების, სამაგიდო, განმარტოების, წიგნიერების, წრეზე შეხვედრების სივრცეების არსებობით, ხოლო სივრცეები გადანაწილებულია იმგვარად, რომ აქტიური და პასიური თამაშების ცენტრები არაა გვერდიგვერდ და ხელს არ უშლიან ერთმანეთს. დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება მოძრავი თამაშებისთვის ადგილის არსებობით, საძრომიალოთი, ბოსტანით, საქვიშით, დრამატული თამაშების სივრცით, ქოხით და სახელოსნოს სივრცით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: ღია რესურსები ჯგუფებში, ყველა ცენტრს უნდა ჰქონდეს შესაბამისი რესურსი ბავშვის სიმაღლეზე ხელმისაწვდომი, სასურველია მასალები იყოს კონტეინერებში ან სათავსოებში და უნდა იყოს დახარისხებული შესაბამისი მინიშნებებით, მასალები ლოგიკურად უნდა იყოს გადანაწილებული

შესაბამის ცენტრში, დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, დარბაზში. დაწესებულებაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება ცენტრებში შესაბამისი რესურსის არსებობით, ხოლო დარბაზში სივრცით, სადაც ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ დაკავდნენ მოძრავი თამაშებით.

დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება გარე სივრცეებში ცენტრების შესაბამისი რესურსების არსებობით

საგანმანათლებლო რესურსი ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია, როგორც ჯგუფში ასევე ეზოში, ყველა რესურსი ბავშვისთვის ხელმისაწვდომ ადგილასაა განლაგებული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს კონტეინერებზე და თაროებზე შესაბამის წარწერების ქვეშ ვიზუალური მიმანიშნებლები, ის თუ რა დევს კონტეინერში ან თუ ბავშვი აიღებს კონტეინერს იცოდეს თაროზე რა ადგილას უნდა დააბრუნოს და შესაბამისი ვიზუალური მიმანიშნებელი კონტეინერსა და თაროზე ამ პროცესს გაამარტივებს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

1. დაწესებულების ჯგუფური ოთახები/პროცესისთვის შერჩეული სივრცეები მოწყობილია:

- ✓ აქტიური და პასიური თამაშებისთვის, კერძოდ ეს დასტურდება ჯგუფურ ოთახებში დრამატული და სენსორული ცენტრის არსებობით;
- ✓ მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის, კერძოდ ეს დასტურდება შემდეგნაირად: ჯგუფურ ოთახებში არის ცენტრები ისე განლაგებული, რომ 3-5 ბავშვს ერთ ცენტრში შეუძლია ყოფნა მცირე ჯგუფური აქტივობების დროს, ასევე არის დრამატული ცენტრის დიდი სივრცეები, შეხვედრების წრის სივრცე ასევე, გარემო მოქნილია და შესაძლებელია ავეჯის გადაადგილება და შეერთება საჭიროებისამებრ მთელი ჯგუფის საერთო აქტივობის დროს,
- ✓ დასვენებისა და განმარტოებისთვის, კერძოდ ეს დასტურდება შემდეგნაირად: ჯგუფებში დასვენებისთვის არის წიგნიერების ცენტრები, ძილის შემთხვევაში ასაკობრივად შერეულ ჯგუფებში არის გათვლილი საწოლები იმ ბავშვებისთვის, ვინც დაიძინებენ, 2-3 წლიანებში

თავისთავად არის საძინებელი ოთახები მოწყობილი, ხოლო რაც შეეხება განმარტებისთვის ადგილს, ყველა ჯგუფის ოთახშია მყოფი სივრცე მოწყობილი განმარტებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს: ობიექტური დაკვირვების ჩანაწერებს, ინდივიდუალური პორტფოლიოს, რეფლექსურ დღიურს, საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვებას, შეფასებით პორტფოლიოს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა. (ა). ი. პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი პირის (ბ31.18251473-27/05/2025) ბრძანებით დასტურდება, რომ ბაღს აქვს შემუშავებული ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მექანიზმი (მუხლი 8. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები) სადაც გაწერილია, რომ საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისთვის, დაწესებულება გამოიყენებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს და ამ მიმართულებით დაინერგება თანმიმდევრული პრაქტიკა, ხოლო დაწესებულება ბავშვზე დაკვირვების და შეფასებისთვის გამოიყენებს ობიექტურ დაკვირვების ჩანაწერებს და კითხვარებს. ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ამავე დოკუმენტში (მუხლი 10. პორტფოლიოს წარმოება) გაწერილია, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი შემდგომში აწარმოებს სამი ტიპის პორტფოლიოს:

- 1) ბავშვის ინდივიდუალურ პორტფოლიოს, რომელიც მოიცავს ისეთი ინფორმაციის შეგროვებას, როგორიცაა: ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები, ბავშვის შეფასების ჩანაწერები, ბავშვის ნამუშევრები, ბავშვის ნამუშევრის ფოტოები და ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს;
- 2) აღმზრდელის პორტფოლიოს, რომელიც მოიცავს: დღის განრიგს, გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს, რეფლექსურ ჩანაწერებს და განვითარების ინდივიდუალური გეგმას (საჭიროების შემთხვევაში);



შესაბამისად, მოცემულ დოკუმენტში გაწერილია ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტული მეთოდები, რაც არ ეწინააღმდეგება კურიკულუმით განსაზღვრულს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა უზრუნველყოფის წესი“ რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით. იკითხება რომ საგანმანათლებლო პერსონალის იყენებს ბავშვის შეფასების შემდეგ მეთოდებს: ობიექტურ ჩანაწერებს და კითხვარებს.

შეფასება ემსახურება:

- ✓ თითოეული ბავშვის ინტერესის გამოვლენას;
- ✓ თითოეული ბავშვის საჭიროების გამოვლენას;
- ✓ თითოეული ბავშვის პროგრესის გამოვლენას.

შეფასება ემსახურება ბავშვის განვითარების ყველა სფეროს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულიზაციისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა.(ა).ი.პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი პირის (ბ31.18251473-27/05/2025) ბრძანებით, გაწერილია რომ ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება განხორციელდება:

- 1) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- 2) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- 3) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;
- 4) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა.(ა).ი.პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი პირის (ბ31.18251473-27/05/2025) ბრძანებით, გაწერილია რომ ბავშვის შეფასების პროცესს განხორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართული ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, ოჯახი/კანონიერი წარმომადგენელი და დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას. ხოლო ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან განხორციელდება ინდივიდუალურად.



ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმი;
2. დღის განრიგი;
3. ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
4. საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი;
5. ინვენტარიზაცია
6. კურიკულუმის მიზნების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფის დოკუმენტაცია;
7. წიგნების აღრიცხვის ჟურნალი;
8. ინტერვიუ;
9. ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

2.2. კურიკულუმის განხორციელება

შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
---	---	---	---



2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ რომელიც დამტკიცებულია ა. (ა). ი. პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ (ბ31.182513914-19/05/2025) ბრძანებით გაწერილია (მუხლი 4..კურიკულუმის შეფასება და განვითარება), რომელიც შედგება შემდეგი პუნქტებისგან:

- 1) კურიკულუმის შეფასების მიზანია დაწესებულებამ დაადგინოს, რამდენად ეფექტიანად ინერგება კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტი და რამდენად მიიღწევა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები;
- 2) კურიკულუმის შეფასება განხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ;
- 3) კურიკულუმის შეფასებისთვის სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი;
- 4) კურიკულუმის შეფასების პროცესი ეფუძნება:
 - ა) საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას;
 - ბ) ფიზიკური გარემოს შეფასებას;
 - გ) მშობლების უკუკავშირს;
 - დ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულება ანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ რომელიც დამტკიცებულია ა. (ა). ი. პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ (ბ31.182513914-19/05/2025) ბრძანებით გაწერილია (მუხლი 5. კურიკულუმში ცვლილებების შეტანა და განვითარება) რომელიც შედგება შემდეგი პუნქტებისაგან:

- 1) კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები ან/და რეკომენდაციები;
- 2) კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შესაძლებელია იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი;
- 3) კურიკულუმის წერტილოვანი ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს: ა) თემატური მიმართულებების მიხედვით კონკრეტული სამიზნე შინაარსის ცვლილებებს. ბ) კურიკულუმის მიზნების დაზუსტებასა და რეფორმულირებას. გ) ბავშვზე დაკვირვების კონკრეტული ინსტრუმენტის შეტანას. გ) საგანმანათლებლო რესურსის შეცვლას/გამრავალფეროვნებას. დ) ფიზიკური გარემოს გადაწყობა/გამრავალფეროვნებას. ე) ცვლილებებს ბავშვების მახასიათებლების გათვალისწინების მიდგომებში. ვ) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგძლივობის შეცვლას ზ) ცვლილებებს დროით გარემოში (დღის განრიგში) ი) ცვლილებები ოჯახის და თემის ჩართულობის ნაწილში. კ) კურიკულუმის გაზიარების მექანიზმის სრულყოფას;
- 4) კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შედის სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.;
- 5) კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს: ა) კურიკულუმის შეცვლას ბ) შექმნილ კურიკულუმში ახალი კურიკულუმ(ებ)ის დამატებას ან ამოღებას;
- 6) კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შედის შემდეგი ეტაპების დაცვით: ა) ამ წესით დადგენილი ეტაპების დაცვით ახალი კურიკულუმის შერჩევა/კურიკულუმის ახალი ჩარჩოს შექმნა. ბ) ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცესის პროგრამის დამატებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი;
2. ბრძანება - ბ31.182513914-19/05/2025წ.

შეფასება:			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია „ოჯახთან, თემთან, კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი, საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა.(ა).ი.პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ (ბ31.182513910-19/05/2025) ბრძანებით მეთოდოლოგიის მიხედვით გეგმავს აქტივობებს, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის, რაც დასტურდება დოკუმენტში (მუხლი 2. საკომუნიკაციო გეგმის შემუშავების პროცესი), რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისგან:

1. სამიზნე აუდიტორიის განსაზღვრა;
2. საკომუნიკაციო არხების შერჩევა;
3. საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა;

4. კომუნიკაციასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების გადანაწილება;

აგრეთვე, ამავე დოკუმენტში წარმოდგენილია დანართი №1, რომელსაც დაწესებულება გამოიყენებს საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვისთვის და ამავე ცხრილში განისაზღვრება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული. დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია, რომ უნდა მოხდეს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის დამტკიცება, თუმცა, ეს დოკუმენტი უკვე დამტკიცებულია ბრძანებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „ოჯახთან, თემთან, კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი, საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“, რომელიც დამტკიცებულია ა. (ა). ი. პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ (ბ31.182513910-19/05/2025) ბრძანებით, გაწერილია შემდეგი საკითხები:

1. თემის ჩართულობისთვის კურიკულუმის ფარგლებში წინასწარ მოხდება ღონისძიებების დაგეგმვა;
2. ჩართულობა შეეხება დაწესებულების შიგნით და მის გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებს;

ამ ეტაპისთვის დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული თუ, როგორ წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ შეიმუშაოს წახალისების ფორმები, რომლის მიხედვითაც შეძლებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების კურიკულუმის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებში ჩართულობის წახალისებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „ოჯახთან, თემთან, კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი, საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“ დამტკიცებულია ა.(ა).ი.პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ (ბ31.182513910-19/05/2025) ბრძანებით გაწერილია, რომ

- ✓ დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს კომუნიკაციის მეთოდები და არხები;
- ✓ შერჩეული არხები არის მრავალფეროვანი:
 - ა) პირისპირ შეხვედრები;
 - ბ) საინფორმაციო დაფები;
 - გ) მოკლე ტექსტური შეტყობინება/სატელეფონო ზარი;
 - დ) სოციალური მედიის პლატფორმები და დახურული ჯგუფები.
- ✓ შერჩეულ არხებს დაწესებულება იყენებს თემთან ურთიერთობისას;
- ✓ შერჩეულ არხებს დაწესებულება იყენებს ოჯახთან ურთიერთობისას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.



რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „ოჯახთან, თემთან, კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი, საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“;
2. ბრძანება - ზ31.182513910-19/05/2025წ.

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „ოჯახთან, თემთან, კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი, საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“ დამტკიცებულია ა.(ა).ი.პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ (ბ31.182513910-19/05/2025) ბრძანებით, რომლის მიხედვითაც არ ვლინდება, თუ როგორ უზრუნველყოფს ოჯახების ცნობიერების ამაღლებას, კერძოდ:

1. ბავშვის უფლებების დაცვის შესახებ;
2. ადრეული ასაკის ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების შესახებ;
3. ადრეული ასაკის ბავშვის განვითარების სპეციფიკის შესახებ.

ზემოთ აღნიშნული აქტივობების და თემების გაწერა, პერიოდულობა, დაგეგმვა არ არის აღწერილი მექანიზმში, სამოქმედო გეგმასა ან ცალკე დოკუმენტში.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული საკითხის გამოსწორების ვადად მითითებული აქვს 1.06.2025წ.- 31.03.2026წ.- პერიოდი.

ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილადაა დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ რომელიც დამტკიცებულია ა. (ა). ი. პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ (ბ31.182513910-19/05/2025) ბრძანებით მექანიზმით გაწერილია, რომ

1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას;
2. ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან განხორციელდება ინდივიდუალურად;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს გაწერილი მექანიზმი, რომლის მიხედვითაც იგი ავტორიზაციის გავლის შემდეგ, გამოიყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს მექანიზმის შემუშავება, რომლის მიხედვითაც შეძლებს თემში არსებული რესურსის გამოყენებას კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

- დაწესებულებამ დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც დაგეგმილი აქტივობებით შესაძლებელი იქნება რეკომენდაციის სრულად გამოსწორება, კერძოდ - 01.11.2025-01.11.2026წწ. 12 თვიან პერიოდში, დაწესებულება უზრუნველყოფს „ოჯახთან, თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი, საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ განსაზღვროს თემში არსებული რესურსების გამოიყენების საკითხი, კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და შეფასებას ცვლის მეტწილად შესაბამისობით.

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ (ბ31.182513914-19/05/2025) ბრძანებით გაწერილია (მუხლი.4.კურიკულუმის შეფასება და განვითარება) რომ კურიკულუმის შეფასების პროცესი ეფუძნება მშობლების უკუკავშირს და შეფასების შედეგებიდან გამომდინარე ხდება ცვლილებები. ასევე მეორე დოკუმენტში „ოჯახთან,თემთან, კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი, საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი „ რომელიც დამტკიცებულია ა.ა.ი.პ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ (ბ31.182513910-19/05/2025) ბრძანებით (მუხლი 6. გახორციელებული კომუნიკაციის შეფასების მექანიზმის განსაზღვრა) გაწერილია:

1. კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისათვის, სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად, სააღმზრდელო დაწესებულება გამოიყენებს უკუკავშირის შემდეგ მექანიზმებს:
 - ა) ღია შეხვედრები;
 - ბ) ელექტრონული კითხვარები.

თუმცა, მხოლოდ ეს მექანიზმი არაა საკმარისი და სრულად ვერ ფარავს ინდიკატორის მოთხოვნებს, კერძოდ: დაწესებულების მხრიდან ოჯახებთან და თემთან უშუალოდ განხორციელებული აქტივობების შესახებ შეფასებას და შედეგებიდან გამომდინარე საჭიროებისამებრ ღონისძიებების განხორციელებას.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული საკითხის გამოსწორების ვადად მითითებული აქვს 1.06.2025წ.- 31.03.2026წ.- პერიოდი.



ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილადაა დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „ოჯახთან, თემთან, კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი, საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი“;
2. ბრძანება - ბ31.182513910-19/05/2025წ.

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული პერსონალი, უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. დაწესებულებამ წარმოადგინა „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ და დამტკიცების შესახებ ბრძანება (ბ31. 18251397; 19.05.2025). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ბაგა-ბაღი დაკომპლექტებულია 29 პერსონალით, დაწესებულებამ წარმოადგინა 29 პერსონალის პირადი საქმე, რომლებიც დასაქმდებიან ავტორიზაციის მიღების შემდეგ. მათ შორის მენეჯერი, ფსიქოლოგი, 6 უფროსი აღმზრდელი, 6 აღმზრდელი, 6 აღმზრდელის თანაშემწე, მუსიკის მასწავლებელი, მწე, დამხმარე პერსონალი (მზარეული, მზარეულის დამხმარე, დამლაგებელი, მეეზოვე, 2 დარაჯი) კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით. ბაგა-ბაღს გაერთიანებიდან, ემსახურება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის, მონიტორინგისა და კოორდინაციის განყოფილების (მეთოდური განყოფილება). დაწესებულების „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-ს II თავის მე-7 მუხლის „სამუშაო აღწერილობა“ ჩამონათვალში (ჩანაწერში 2.4.-ით) „ანგარიშვალდებულება და ვინ ითავსებს ფუნქციას რომელიმე პერსონალის არყოფნის პერიოდში“, დოკუმენტში არ იკითხება, კერძოდ, როგორ ხდება ჩანაცვლების პროცესი, ბუნდოვანია. დაწესებულების შინაგანაწესში (დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის დირექტორის მიერ) განსაზღვრულია ბაგა-ბაღის პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები (მუხლი მე-11), მაგრამ არც შინაგანაწესით არ არის განსაზღვრული პოზიციაზე დასაქმებულ პირთა ურთიერთჩანაცვლების საკითხი. კერძოდ, ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც საქმიანობის შესრულებას ვერ შეძლებს კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული პირი. რათა ხელი არ შეეშალოს მდგრად ფუნქციონირებას.

დოკუმენტში, ასევე, გათვალისწინებულია საკონსულტაციო საბჭო, თუმცა არჩევის წესი, ან რა დატვირთვა/ფუნქცია აქვს საკონსულტაციო საბჭოს, დოკუმენტში არ იკვეთება და დაწესებულებამ შესაბამისი დოკუმენტი ვერ წარმოადგინა, დაწესებულებამ წარმოადგინა საკონსულტაციო საბჭოს ოქმი.

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საშტატო განრიგის, რომელსაც ამტკიცებს უფლებამოსილი პირი/ დირექტორის (წესდება - მუხლი მე-2, პ. 4.2 „ა“ ქვეპუნქტი) მიხედვით, თითოეული თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია დაწესებულების შინაგანაწესში (ბრძანება ბ31. 18251394; 19.05.2025). რაც შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება (ბ31. 18251394; 19.05.2025) შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ და შინაგანაწესის თავფურცელზე ბრძანების ნომრად მითითებული ნომერი 322 (თარიღი არ არის დატანილი), თანხვედრაში არ არის.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

- ✓ დაწესებულებამ, უზრუნველყოს დასაქმებულ პირთა ურთიერთჩანაცვლების საკითხის დარეგულირება, ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც საქმიანობის შესრულებას ვერ შეძლებს კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმებული პირი, რათა მისი საქმის შეთავსება იყოს უზრუნველყოფილი, რომ პროცესები არ ჩავარდეს, რითაც უზრუნველყოფილი იქნება დაწესებულების მდგრადი ფუნქციონირება;
- ✓ უზრუნველყოს საკონსულტაციო საბჭოს არჩევის წესის, თავმჯდომარის/მოადგილის, წევრების და სხვა ფუნქციები, პასუხისმგებლობები, ვალდებულებების შესახებ დოკუმენტით განსაზღვრა.

რჩევა

სასურველია:

- ✓ „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-ს თავფურცელზე მიეთითოს ბრძანების თარიღი - რიცხვი და თვე;
- ✓ „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-ს დამტკიცების შესახებ ბრძანებაში (ბ31. 18251397; 19.05.2025) მიეთითოს ამოქმედების ვადა და ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/ერთეული;
- ✓ დაწესებულების დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება (ბ31. 18251394; 19.05.2025) შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ და შინაგანაწესის თავფურცელზე ბრძანების ნომრად მითითებული ნომერი 322 (თარიღი არ არის დატანილი), მოიყვანოს თანხვედრაში, ასევე, ბრძანებაში მიეთითოს ამოქმედების ვადა და ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი/ერთეული.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

- დაწესებულებამ წარმოადგინა რეკომენდაციით გათვალისწინებული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, ის აქტივობები, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას, კერძოდ: დაწესებულება 01.11.2025-01.11.2026 წწ. პერიოდში, უზრუნველყოფს დასაქმებულ პირთა ურთიერთჩანაცვლების საკითხის მოგვარებას, „პერსონალის მარეგულირებელ დოკუმენტში“ და შინაგანაწესში დაამატება ცალკე თავს/მუხლს, რომელშიც განისაზღვრება პერსონალის ურთიერთჩანაცვლების პროცედურები, ჩანაცვლების წესი.
ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და ინდიკატორის მოთხოვნებს მიიჩნევს მეტწილი შესაბამისობით დაკმაყოფილებულად.

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების სტრუქტურული ერთეულები განსაზღვრულია ორგანოგრამით, რომელიც „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტ“-ს (დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით - ბ31. 18251397; 19.05.2025). ორგანოგრამა მოიცავს სამ მიმართულებას, კერძოდ: სასწავლო აღმზრდელობითი, კვებისა და სანიტარია-ჰიგიენის. თითოეული მიმართულებაში გათვალისწინებულია პოზიციები, კერძოდ: სასწავლო-აღმზრდელობითი - ფსიქოლოგი, აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, მუსიკის მასწავლებელი; კვების - სამეურნეო ნაწილის გამგე, ექთანი, მზარეული, მზარეულის დამხმარე; სანიტარია-ჰიგიენა - ექთანი, მეეზოვე, დამლაგებელი დარაჯი. დოკუმენტი ასევე, ითვალისწინებს საკონსულტაციო საბჭოს, თუმცა დატვირთვა/ფუნქცია არ იკვეთება.

პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები გათვალისწინებულია შინაგანაწესში, დაწესებულებას შინაგანაწესში (რომელიც დამტკიცებული ბრძანებით - ბ31. 18251394; 19.05.2025) წარმოდგენილი ფუნქციები გამიჯნულია. ფუნქციები და მოვალეობები მორგებულია დასაქმებულ პერსონალზე. დაწესებულებამ ასევე, წარმოადგინა ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულების თანამდებობრივი ინსტრუქცია (სამუშაოს აღწერილობა) 19.11.2024, მასში პასუხისმგებლობები და ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია ბაგა-ბაღების შესაბამისად (რამდენიმე ბაგა-ბაღზე განსაზღვრულია აპარატის 1 თანამშრომელი შესაბამისი პოზიციის მითითებით). ბაგა-ბაღის სტრუქტურული ერთეულები მკაფიოდაა წარმოდგენილი დაწესებულების ხარჯთაღრიცხვაში.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-თ (თავი IV, მუხლი მე-19, პ.3.) განთვალისწინებულია ელექტრიკოსი, გათბობის სისტემის სოპეციალისტი, სანტექნიკოსი, რაც ორგანოგრამაში ასახული არ არის და არც შინაგანაწესითაა გათვალისწინებული. აღნიშნული პერსონალი დაწესებულებას ამ ეტაპზე არ ჰყავს და მათი დასაქმება ხდება მომსახურების ხელშეკრულებით, საჭიროების შემთხვევაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები დადგენილია შინაგანაწესით, ცალკე დოკუმენტი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ, შექმნილი და დამტკიცებული არ არის. რაც ხლს შეუწყობდა პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას. დაწესებულების შინაგანაწესით და ორგანოგრამით გათვალისწინებულია აღმზრდელის, აღმზრდელის თანაშემწის და მუსიკის მასწავლებლის პოზიცია, ხოლო დაწესებულებაში ადგილზე წარმოდგენილ დოკუმენტში „ინფორმაცია თანამშრომლებზე“ ჩამონათვალში უფროსი აღმზრდელის, აღმზრდელისა და აღმზრდელის თანაშემწის პოზიცია. საქართველოს მთავრობის დადგენილებაში (#478; 27.10.2017) მოცემულია აღმზრდელი-პედაგოგი და მუსიკის აღმზრდელი-პედაგოგის პოზიციები. დაწესებულების ორგანოგრამა, შინაგანაწესი და დოკუმენტი „ინფორმაცია თანამშრომლებზე“ არ არის თანხვედრაში.

პოტენციური/დასასაქმებელი პერსონალის, მუსიკის მასწავლებლის, მათ შორის ქართულის, როგორც მეორე ენის აღმზრდელი-პედაგოგის პროფესიული (საკვალიფიკაციო მოთხოვნები) კვალიფიკაცია შეესაბამება საქართველოს მთავრობის დადგენილებას (#478; 27.10.2017). ამ ეტაპისთვის შერჩეულ პერსონალს, რომელიც ავტორიზაციის შემდეგ დასაქმდება, აქვს შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია, რომ ხელი შეუწყოს ბაგა-ბაღის გამართულ და შეუფერხებელ მუშაობას.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

- ✓ რეკომენდებულია დაწესებულებამ დოკუმენტები - ორგანოგრამა, შინაგანაწესი და „ინფორმაცია თანამშრომლებზე“ მოიცვანოს შესაბამისობაში საქართველოს მთავრობის დადგენილებასთან (#478; 27.10.2017);

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს ცალკე დოკუმენტი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ, ან/და „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ განისაზღვროს კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რაც ხელს შეუწყობს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას, კონკურსის ღიაობას და დაეხმარება შემდგომში ვაკანსიების გამოცხადების საქმეში;
- ✓ დაწესებულებამ „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (თავი IV, მუხლი მე-19, პ.3.) და შინაგანაწესი მოიცვანოს თანხვედრაში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

- დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც დაგეგმილი აქტივობებით შესაძლებელი იქნება საკითხის გამოსწორება, კერძოდ: დაწესებულება 01.11.2025-01.11.2026 წწ. 12 თვიან პერიოდში, დაწესებულება უზრუნველყოფს ორგანოგრამის, შინაგანაწესისა და დოკუმენტის „ინფორმაცია თანამშრომლებზე“ - თანხვედრაში მოიყვანას საქართველოს მთავრობის #478 (27.10.2017) დადგენილებასთან - ორგანოგრამაში, შინაგანაწესსა და „თანამშრომლების შესახებ ინფორმაციაში“ შეცვლის პოზიციათა დასახელებებს დადგენილების შესაბამისად, მოახდენს ტერმინოლოგიის უნუფიკაციას ყველა დოკუმენტში - აღმოფხვრის ურთიერთგამომრიცხავ და შეუსაბამო ჩანაწერებს. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.

4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში დასაქმებულ ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს, ამ ეტაპზე სამედიცინო განათლება/პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია აქვს ექთანს და 2 აღმზრდელს, 66 საათიანი ტრენინგ-კურსი გავლილი აქვს 12 თანამშრომელს. თანამშრომელს. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული და არც რომელიმე დოკუმენტით არ არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სადაც წინასწარ იქნებოდა გათვალისწინებული პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია.

დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქვს 2026 წლის მარტის ბოლომდე პერსონალის გადამზადება პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგის მეშვეობით, შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 9 თვე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია მეტწილი შესაბამისობით.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის მართვა ძირითადად ეფუძნება შინაგანაწესს, რომელიც შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის, შრომის კოდექსის დაცვით და დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის/დირექტორის მიერ ბრძანებით (ბრძანება ბ31. 18251394; 19.05.2025). მართვის პროცესები შესაბამისად ხორციელდება შინაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით. შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულთა ფუნქცია-მოვალეობები, დოკუმენტით ასევე, გათვალისწინებულია პირთა სამუშაოს დაწყება-დამთავრების, შვებულების მიცემის, წახალისების, დისციპლინური სახდელის, ანაზღაურების გაცემის წესი და სხვა.. დაწესებულებას ასევე, შემუშავებული და დირექტორის/უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (ბ31. 18251397; 19.05.2025), რომელშიც მოცემულია დაწესებულების ორგანიზება/დაგეგმვის პროცესი, სამუშაო აწერილობა, კადრების მოზიდვა/შერჩევა, ღია და დახურული კონკურსი, კომისიის შექმნის წესი, ეტაპები და საქმიანობა, შესრულებული სამუშაოს შეფასება და სხვა პირობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა დასასაქმებელ პერსონალთან დასაბუთებული შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულება/დრაფტი, რომლის არსებობის აუცილებლობა დასტურდება დაწესებულების დოკუმენტით „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“ (ბრძანება #8 31. 18251397; 19.05.2025, IV თავი 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი), რომლის მიხედვითაც პირად საქმეებში უნდა იდოს წინარე ხელშეკრულებები, რომელშიც იქნება ჩანაწერი, რომ ხელშეკრულება ძალაში შევა ავტორიზაციის მიღების შემდგომ. ხელშეკრულების ნიმუშში/დრაფტში არ არის ჩანაწერი საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები და მის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობების ჩამონათვალი (თუ რა დროს უთმობს პერსონალი საგანმანათლებლო პერსონალი თვითგანვითარებას, საგანმანათლებლო პროცესის დოკუმენტებზე მუშაობას, კოლეგებთან თანამშრომლობით ურთიერთობას) შესახებ და არც ზეგანაკვეთური სამუშაოს/შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების, „დამსაქმებლისა“ და „დასაქმებულის/დასასაქმებელის“ მისამართის/დასაქმების ადგილის შესახებ დოკუმენტში არ მოიძებნა.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

- ✓ დაწესებულებამ შეიმუშაოს დოკუმენტი/ხელშეკრულება ან/და წინარე ხელშეკრულება, რომელშიც განსაზღვრული იქნება საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის არსებითი პირობებით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა, მათ შორის საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები.

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს შინაგანაწესში ჩანაწერის გაკეთება: „შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს“.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

- დაწესებულებამ, დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც დაგეგმილი აქტივობებით შესაძლებელი იქნება საკითხის გამოსწორება, კერძოდ: დაწესებულება 01.11.2025-01.11.2026 წწ. 12 თვიან პერიოდში, შეიმუშავებს შრომით ხელშეკრულებას/წინარე ხელშეკრულებას, რომელშიც გაითვალისწინებს საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ ყველა არსებითი პირობას, გაწერს „დამსაქმებლისა“ და „დასაქმებულის“/„დასასაქმებელის“ მისამართს, დასაქმების ადგილი, განსაზღვრავს ზეგანაკვეთური სამუშაოს/შესასრულებელი სამუშაოს ანაზღაურების წესს და პირობებს, ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღს, ასევე, საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების რაოდენობას და საათების ანაზღაურების წესს. დაწესებულებამ გაითვალისწინა

ექსპერტთა ჯგუფის რჩევაც და შინაგანაწესში უზრუნველყოფს ჩანაწერის გაკეთებას, რომ „შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს“.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და შეფასება იცვლება მეტწილი შესაბამისობით.

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალის შერჩევის პროცედურები განსაზღვრულია უფლებამოსილი პირის/დირექტორის მიერ დამტკიცებულ „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტი“-თ (ბ31. 18251397; 19.05.2025). დოკუმენტში მოცემულია 4 თავი და თითოეული თავი ჩაშლილია მუხლობრივად. მათ შორის „კადრების მოზიდვა და შერჩევა“ და „კონკურსის შექმნის წესი და საქმიანობა“. დოკუმენტის მიხედვით პერსონალი პოზიციაზე ინიშნება პირდაპირი დანიშვნის გზით ან/და ღია/დახურული კონკურსის საფუძველზე, კონკურსის ვადები განისაზღვრება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით. ინფორმაცია ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, ინტერნეტ სივრცეში დასაქმების ვებგვერდზე, ხოლო შიდა კონკურსის შესახებ თანამშრომლებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას - WhatsApp და Facebook-ის დახურულ ჯგუფში. ასევე, ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია დამატებით შეიძლება განთავდეს დაწესებულების ვებგვერდზე. „კადრების მოზიდვა და შერჩევა“ და „კონკურსის შექმნის წესი და საქმიანობა“ დოკუმენტის მიხედვით, საკონკურსო კომისია იქმნება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. კომისიის წევრთა შემადგენლობა, მათ შორის კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი/სამდივნოს შემადგენლობა განისაზღვრება ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით. დაწესებულებამ ადგილზე ვიზიტის დროს წარმოადგინა ბრძანება (#ბ31. 18243441; 09.12.2024) „ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმების მსურველთა შესარჩევი კომისიის შექმნის შესახებ“, ბრძანებაში ჩამოთვლილია კომისიის წევრთა სახელობითი სია, მაგრამ თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი/სამდივნოს და ვის რა ევალება, ან რა პასუხისმგებლობა ეკისრება, განსაზღვრული არ არის.

ამ ეტაპისთვის დაწესებულებაში კონკურსი არ ჩატარებულა.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

- ✓ დაწესებულებამ „პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტი“-თ (ბ31. 18251397; 19.05.2025) განსაზღვროს კანდიდატის მიმართ წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შეფასების მეთოდები, კრიტერიუმები, შერჩევის ფორმები (გასაუბრება/ტესტირება), რაც ხელს შეწყობს კონკურსის ღიაობას/გამჭვირვალობას. კანდიდატს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია: შესასრულებელი სამუშაოს შესახებ, შრომითი ხელშეკრულების ფორმის (ზეპირი/წერილობითი) და ვადის (ვადიანი/უვადო), შრომის პირობების, შრომითი ურთიერთობისას დასაქმებულის უფლებრივი მდგომარეობისა და შრომის ანაზღაურების შესახებ.

რჩევა

სასურველია:

- ✓ „ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმების მსურველთა შესარჩევი კომისიის შექმნის შესახებ“, ბრძანებით (#ბ31. 18243441; 09.12.2024) განსაზღვროს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი/სამდივნოს და მათი უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები;
- ✓ დაწესებულებამ დაიცვას კანონი პერსონალური მონაცემების შესახებ“ და „ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმების მსურველთა შესარჩევი კომისიის შექმნის შესახებ“, ბრძანებით (#ბ31. 18243441; 09.12.2024) განსაზღვროს კომისიის წევრთა პოზიციები და სახელობითი სია დამალოს/დაფაროს არსებული (მარკირება) წესის მიხედვით,

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

- დაწესებულებამ, დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც დაგეგმილი აქტივობებით შესაძლებელი იქნება რეკომენდაციის სრულად გამოსწორება, კერძოდ: დაწესებულება 01.11.2025-01.11.2026 წწ. 12 თვიან პერიოდში. დაწესებულება სრულყოფს „პერსონალის მართვის დოკუმენტს (ბ.31 18251397; 19.05.2025), განსაზღვრავს თითოეული პოზიციისთვის კანდიდატის მიმართ წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, კანდიდატთა შეფასების მეთოდებს, შეიმუშავებს შეფასების კონკრეტულ კრიტერიუმებს და ქულათა სისტემას. ასევე, უზრუნველყოფს კონკურსის გამჭვირვალობას, კანდიდატს მიაწოდებს კონკურსის გამოცხადების დროს, ინფორმაციას შესასრულებელი სამუშაოს შესახებ, შრომითი ხელშეკრულების ფორმას (ზეპირი/წერილობითი), ვადას, შრომის პირობებს, სამუშაო გრაფიკს, საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების შესახებ ინფორმაციას.
- დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა და გეგმით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყოფს საკონკურსო კომისიის ფორმირებისა და საქმიანობის წესს, კანდიდატის მიერ უკუკავშირის მიღების შესაძლებლობას/გასაჩივრების პროცედურებს.
- ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და შეფასებას ცვლის მეტწილი შესაბამისობით.

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-თ განსაზღვრულია მიღებული თანამშრომლის ინტეგრაცია (თავი III, მუხლი მე-18), მასში გაწერილია სამუშაო გარემოსთან ადაპტირება/ინტეგრაციისათვის საჭირო მექანიზმები, თანამშრომლებთან ადაპტაციის სტრატეგიები. აღნიშნული დოკუმენტისა და შინაგანაწესის მოთხოვნების შესაბამისად, დაწესებულების ადმინისტრაცია უზრუნველყოფს თანამშრომლისთვის, შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ინფორმირებას, რათა დასაქმებულმა თანამშრომელმა

დამოუკიდებლად შეძლოს სამუშაოს შესრულება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს თანამშრომლის/თანამშრომლების ინტეგრაციის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-ს მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გაითვალისწინოს სამუშაო გარემოს გაცნობის ფაქტორიც.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ნათლად ჩანს, რომ დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა დაეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. რაც ითვალისწინებს ბაგა-ბაღში დასაქმებულ პერსონალს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და ერთმანეთისათვის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, დაეხმარება კეთილგანწყობილი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში.

დაწესებულებას ორგანიზაციული კულტურის პრინციპები განსაზღვრული აქვს ღირებულებებით. კერძოდ, დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია გუნდური მუშაობის პრინციპზე, რომელიც გამოჩნდა მისია, ხედვა და ღირებულებების ჩამოყალიბების დროს, სამუშაო ჯგუფის შექმნითა და ერთობლივი მუშაობით, თანამშრომლობითი ურთიერთობით. დაწესებულება ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ბაგა-ბაღის პერსონალს, დასაქმების - ავტორიზაციის მიღების შემდგომ, ურთიერთგანვითარებაში, დაწესებულების მთავარი მიზანი ბავშვის ინტერესების დაკმაყოფილება და უნარების განვითარებისკენ იქნება მიმართული. რაც კარგად გამოჩნდა ვიზიტის დროს/ინტერვიუებისას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის შესახებ საკითხი გათვალისწინებული აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-თ (ბ31. 18251397; 19.05.2025), სადაც (თავი IV, მე-19) დეტალურადაა გაწერილი სამუშაოს შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის შესახებ, იმის გამო, რომ დაწესებულება პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, პერსონალის შეფასება და საჭიროებათა კვლევა ფორმალური მეთოდით არ განხორციელებულა. დოკუმენტით გათვალისწინებულია შეფასების შემდეგი ასპექტები: უნარები, დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხი, რესურსები და ინსტრუმენტები, სამუშაო გარემო, კარიერული განვითარება, სანუშაოსა და ცხოვრების ბალანსი, აღიარება და მოტივაცია, უკუკავშირი და კომუნიკაცია და სხვა. სამოქმედო გეგმით (2024-2025, მიზანი 2, ამოცანა 2.2) გათვალისწინებულია პერსონალის პროფესიულ განვითარებაში ხელშეწყობის შესახებ საკითხი, ვადად განსაზღვრულია 2025 წლის სექტემბერ-ოქტომბერი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“-თ (ბ31. 18251397; 19.05.2025) გაითვალისწინოს ადამიანური რესურსების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რაც დაეხმარება პერსონალის საქმიანობის შეფასებასა და საჭიროებათა მოკვლევის განხორციელებაში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ პერსონალის განვითარება ვერ ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, რადგან ამ ეტაპისთვის დაწესებულებას არ აქვს გამოვლენილი პერსონალის საჭიროებების შესაბამისი გეგმა, არ აქვს ჩატარებული კვლევების საორიენტაციო გეგმა რადგან დაწესებულებას პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია.

დოკუმენტის მიხედვით (თავი IV, მე-20), დაწესებულება პერსონალს, დასაქმების შემთხვევაში, სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. კერძოდ: ტრენინგი, ქოუჩინგი, დელეგირება, სამუშაოს გამრავალფეროვნება, თვითგანვითარება, კონსტრუქციული უკუკავშირი.

დაწესებულებამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დოკუმენტი „ქ. გარდაბნის #3 ბაგა-ბაღის 2024-2025 სასწავლო წლის გრძელვადიანი (ერთწლიანი) სამუშაო გეგმა“, დოკუმენტით გათვალისწინებულია საადმინისტრაციო გეგმა, მასში ჩაშლილია 4 სტრატეგიული მიზანი (1. სკოლამდელი ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა; 2. სხვადასხვა რგოლთან თანამშრომლობის გაძლიერება; 3. საბავშვო ბაღების ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება; 4. დაწესებულების საგანმანათლებლო და ტექნიკური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა) და ითვალისწინებს ამოცანებს, აქტივობებს, პასუხისმგებელ პირს, ადამიანურ რესურსს, მატერიალურ რესურსსა და განხორციელების ვადებს.

დოკუმენტით გათვალისწინებულია დაწესებულების საგანმანათლებლო და ტექნიკური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს, სავარაუდო დასასაქმებელ პირთა პირადი საქმეების გაცნობის და ზაგა-ზადის მენეჯერთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებაში 12 აღმზრდელს გავლილი აქვს 66 საათიანი ტრენინგ-მოდული, ასევე სხვადასხვა ტრენინგ-ცენტრების ტრენინგ-კურსები, კერძოდ: ევროკავშირი საქართველოსათვის ზაგა-ზადის თანამშრომლების პროგრამა - „ადრეული განვითარებისა და რთული ქცევის მართვა“, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ე/ც ტრენინგი „ადრეული განათლების კურიკულუმი - თამაში“, სურსათის ეროვნული სააგენტოს „ხუთი გასაღების პრინციპი უვნებელი სურსათისათვის, ა(ა)იპ გლობალური კონსალტინგის და განვითარების ცენტრის - HACCP, „მწვანე ალუბლები“ - აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული და სხვა..

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის საჭიროებების კვლევა და პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის შესაბამისი გეგმის შემუშავება;
- ✓ შეიმუშაოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილი იქნება აქტივობების ჩამონათვალი პროფესიული განვითარების მიმართულებით, ვადები პასუხისმგებელი პირი/ერთეული და განსაზღვრული იქნება შესრულების ვადები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას „სტრატეგია 2023-28“ დოკუმენტით (მიზანი 2. ამოცანა 2.2. პერიოდი მითითებული არ არის) და სამოქმედო გეგმით 2024-2025 (მიზანი 2. ამოცანა 2.2. სექტემბერი-ოქტომბერი) გათვალისწინებული აქვს პერსონალის პროფესიულ განვითარებაში ხელშეწყობა. დაწესებულების წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს გაითვალისწინებენ, დაწესებულებას პერიოდულად აქვს შემოთავაზება საგანმანათლებლო სფეროში მომუშავე ორგანიზაციებიდან, რომლებიც ჩაუტარებენ სხვადასხვა ტერნინგებს.

დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაცხადებული აქვს, რომ ავტორიზაციის მიღების შემდეგ, ხელს შეუწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ, პერსონალის დასაქმების შემდგომ, უზრუნველყოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების გამოვლენა და ინიციატივებისათვის ხელშეწყობა მათი ინტერესებისა და სურვილის/მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს თავისივე დოკუმენტებით „სტრატეგია 2023-28“ დოკუმენტით (მიზანი 2. ამოცანა 2.2. პერიოდი მითითებული არა არის) და სამოქმედო გეგმით 2024-2025 (მიზანი 2. ამოცანა 2.2. სექტემბერი-ოქტომბერი) გათვალისწინებული საკითხის შესრულება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწესებულების ორგანოგრამა;
2. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და ბრძანება N 31. 18251397;
3. შინაგანაწესი და ბრძანება N 31. 18251394 შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ;

4. ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულების თანამდებობრივი ინსტრუქცია (სამუშაოს აღწერილობა);
5. პერსონალის პირადი საქმეები;
6. ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების 2023-28 წ. სტრატეგია;
7. 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა მიზანი 2 ამოცანა 2.2;
8. ინფორმაცია თანამშრომლებზე 2025 წლის ივლისის მდგომარეობით;
9. ინტერვიურება;
10. „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“ და ბრძანება დამტკიცების შესახებ (ბ31. 18251397; 19.05.2025).

შეფასება:

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
--------------------------------------	--	---	---

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას „პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესში“ (თავი I, მე-4 მუხლი) აქვს ჩანაწერი „ადამიანური რესურსების მართვის ციკლის“ შესახებ. დოკუმენტის მიხედვით დაწესებულება, ავტორიზაციის შემდგომ, მოახდენს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება დაგეგმავს და განახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ და ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისას დადგინდა, რომ დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი არ აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები. დაწესებულებამ წარმოადგინა მხოლოდ პოზიციების ჩამონათვალი. დაწესებულებას 4.2. ინდიკატორის გამოსწორების შესახებ საკითხი გათვალისწინებული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში, შერულების ვადა გათვლილია 9 თვის პერიოდზე - 01.06.2025 – 31.03.2026 წწ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია მეტწილად.

რეკომენდაცია

- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული 4.2. ინდიკატორის შესრულება.

რჩევა

- ✓ დაწესებულებამ იხელმძღვანელოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მეთოდოლოგიური დოკუმენტით „მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები“, რაც დაეხმარება დაწესებულებას აღწეროს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და მოახდინოს იდენტიფიცირება;

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

- დაწესებულებას, თვითშეფასების კითხვარის წარმოდგენის დროს, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ჰქონდა, რომ მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღეწერა 01.06.2025 -31.03.2026 წწ. 9 თვის პერიოდში, არგუმენტირებული პოზიციაში მითითებულია 9 თვის ნაცვლად 12 თვე - 01.06.2025 -31.03.2026 წწ. დაწესებულება უზრუნველყოფს გეგმით გათვალისწინებულ ვადაში საკითხის შესრულებას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით და არგუმენტირებული პოზიციაში მითითებული 9 თვის ნაცვლად 12 თვის - 01.06.2025 -31.03.2026 წ. პერიოდში საკითხის გამოსწორებას. შეფასება რჩება მეტწილი შესაბამისობაში.

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას, ამ ეტაპზე, განსაზღვრული არ ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფაზე (დაგეგმვა-განხორციელება-მონიტორინგი/შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება) პასუხისმგებელი პირი და აღნიშნული ფუნქციები არც შეთავსებული აქვს რომელიმე დასაქმებულს. შესაბამისად, პროცესების მართვა ვერ განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის (დემინგის) - „დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება“ შესაბამისად, რომელიც დაეფუძნება პროცესულ მიდგომებს. რაც ხელს შეუწყობს დაწესებულებას განსაზღვროს, დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები, თანმიმდევრული კონკრეტული ნაბიჯები, ეტაპები და ქმედებები, რის მერე რისი გავლენაა საჭირო.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია:

- ✓ დაწესებულებამ პროცესების მართვის განახორციელება მოახდინოს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად - დაგეგმვა-განხორციელება-მონიტორინგი/ შეფასება-გადახედვა /გაუმჯობესება;
- ✓ განსაზღვროს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ან/და ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციების შეუთავსება მოახდინოს რომელიმე პერსონალისათვის.

რჩევა

- ✓ დაწესებულებამ იხელმძღვანელოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მეთოდოლოგიური დოკუმენტით „მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები“, რაც დაეხმარება დაწესებულებას პროცესების მართვა განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

- დაწესებულებამ, დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც დაგეგმილი აქტივობებით შესაძლებელი იქნება რეკომენდაციის სრულად გამოსწორება, კერძოდ: დაწესებულება 01.11.2025-01.11.2026 წწ. 12 თვიან პერიოდში, დაწესებულება განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს, საშტატო განრიგში დაამატებს „ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის“ საშტატო ერთეულს ან/და ამ ფუნქციას შეუთავსებს დაწესებულების მეთოდისტს ან დირექტორის მოადგილეს. დაწესებულება, პროცესების მართვას დაგეგმვას ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რჩევა და იხელმძღვანელებს განათლების ხარისხის განვითარების ე/ც მეთოდოლოგიური დოკუმენტით „მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები“, რომელიც დაეხმარება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ეფექტიანად დანერგვაში.
ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და შეფასებას ცვლის მეტწილი შესაბამისობით.

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა უფლებამოსილი პირის/დირექტორის მიერ ბრძანებით (#ბ31. 18251394; 19.05.2025;) დამტკიცებული შინაგანაწესი („შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ თავფურცელზე ბრძანების ნომრად მითითებული ნომერი 322 (ნაცვლად #ბ31. 18251394; 19.05.2025-ისა), თარიღი არ არის დატანილი) და „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“ (ბრძანება #ბ 31.18251402; 20.05.2025). შინაგანაწესით განსაზღვრულია ბაგა-ბაღში ბავშვის ჩარიცხვის წესი (მუხლი მე-9) და ბავშვის დასწრებისა და ბაგა-ბაღის სიიდან ამოღების წესი (მუხლი მე-10), რომელიც არის ზოგადი ხასიათის. დოკუმენტში „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“ დეტალურადაა

აღწერილი ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის, პრინციპები, ბავშვის ჩარიცხვა-ამპორიცხვის ფორმა, პერიოდულობა და ვადები, ჩარიცხვის ეტაპებისა და მათი განხორციელების წესი, ბავშვის გადაყვანა, ბავშვის ამორიცხვა, ზღვრული რაოდენობის ფარგლებში. ასევე, დაწესებულებაში წარსადგენი საბუთების ნუსხა, დაწესებულების რეგისტრაციიდან მოხსნის წესები და პირობები, სარეზერვო სიები, მათ შორის განსაზღვრულია საპატიოდ გამოუცხადებლობის მიზეზები. კონკრეტულად რეგისტრაციის პერიოდულობა და ვადები განისაზღვრება ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. დოკუმენტი განსაზღვრავს დაწესებულების ადმინისტრაციასთან და ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს. განსაზღვრულია ამ პროცესების წარმართვაზე პასუხისმგებელი ერთეული, კერძოდ ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სასწავლო სააღმზრდელო პროცესის, მონიტორინგისა და კოორდინაციის (მეთოდური) განყოფილება. დაწესებულებაში შეუზღუდავი მიღების უფლებით სარგებლობენ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები აზერბაიჯანელი და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შვილები. დაწესებულებაში ბავშვთა მიღება გამორიცხავს ყოველგვარ დისკრიმინაციას რელიგიის, კანისფერი, ეთნიკური წარმომავლობის, სხვა რელიგიური მრწამსის და სხვა ვითარების გათვალისწინებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“ (ბრძანება ბ31. 182513913, 19.05.2025), რომელშიც ბრძანებით (ბ31. 18251402, 20.05.2025) შეტანილია ცვლილება და დამტკიცებულია სათაურით „გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში ელ. ბაზის გააქტიურების, ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის პერიოდულობის და ვადების, ბავშვების შიდა პორტირების, პრიორიტეტების, ბაგა-ბაღებში მატერიალური დოკუმენტების წარდგენის და აღსაზრდელთა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმების მარეგულირებელი წესი“, ამ სათაურით დოკუმენტი არ იძებნება გადმოგზავნილ დოკუმენტებში. „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“-ს მიხედვით, ეს წესი ვრცელდება ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ქუდქვეშ არსებულ ბაგა-ბაღებზე. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი ხორციელდება დადგენილი წესის შესაბამისად, ავტომატიზირებული ელექტრონული სისტემის მეშვეობით. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების შინაგანაწესი (მუხლი მე-9 და მე-10) და „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“ არ არის თანხვედრაში.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

- ✓ დაწესებულებამ შინაგანაწესში არსებული ჩანაწერი (ბაგა-ბაღში ბავშვის ჩარიცხვის წესი, მუხლი მე-9), ბრძანებით (ბ31. 182513913, 19.05.2025) დამტკიცებული „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“ და (ბრძანებაში განხორციელებული ცვლილება ბ31. 18251402, 20.05.2025) „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ბაგა-ბაღებში ელ. ბაზის გააქტიურების, ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის პერიოდულობის და ვადების, ბავშვების შიდა პორტირების, პრიორიტეტების, ბაგა-ბაღებში მატერიალური დოკუმენტების წარდგენის და აღსაზრდელთა მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმების მარეგულირებელი წესი“, მოიცვანოს თანხვედრაში;
- ✓ შინაგანაწესის თავფურცელზე მიუთითოს ბრძანების თვე და რიცხვი პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის #414 ბრძანებულების (თავი I, მუხლი მე-17, პ. მე-2) შესაბამისად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

- დაწესებულებამ, დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც დაგეგმილი აქტივობებით შესაძლებელი იქნება რეკომენდაციის სრულად გამოსწორება, კერძოდ: დაწესებულება 01.11.2025-01.11.2026 წწ. 12 თვიან პერიოდში უზრუნველყოფს ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი დოკუმენტების, კერძოდ: შინაგანაწესის (არსებული ჩანაწერი ბაგა-ბაღში ბავშვის ჩარიცხვის წესი მუხ. მე-9), ბრძანების (#ბ 31. 182513913; 19.05.2025; „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის“ შესახებ) და ბრძანების (#ბ 31. 182511402; 20.05.2025; „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ბაგა-ბაღებში ელექტრონული ბაზების გააქტიურების, ბავშვების ჩარიცხვისა-ამორიცხვის პერიოდულობის და ვადების, ბავშვების შიდა პორტირების, პრიორიტეტების, ბაგა-ბაღებში მატერიალური დოკუმენტების წარდგენის და აღსაზრდელო მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმების მარეგულირებელი წესი“) თანხვედრას, ყველა დოკუმენტში გაასწორობს ტერმინოლოგიას. ასევე, დაწესებულება უზრუნველყოფს შინაგანაწესის თავფურცელზე ბრძანების სრული თარიღის (თვე, რიცხვი) მითითებას საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის #414 ბრძანებულების (თავი I, მუხლი მე-17, პუნქტი მე-2) შესაბამისად, დააღაგებს ბრძანებების ნუმერაციას, მოახდენს შინაგანაწესის თავფურცელზე მითითებული ბრძანების ნომერის (322) შესაბამისობას დამტკიცების ბრძანების ნომერთან (ბ 31. 18251394; 19.05.2025). ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და შეფასებას ცვლის მეტწილი შესაბამისობით.

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში „ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესის“ (მუხლი მე-10) თანახმად, ბავშვთა პირადი საქმეების წარმოების განმახორციელებლად განსაზღვრულია ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სასწავლო პროცესის, მონიტორინგისა და კოორდინაციის (მეთოდური) განყოფილება, მაგრამ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში არსებული ჩანაწერის მიხედვით, ბავშვთა პირადი საქმეების წარმოებას ახორციელებს ბაგა-ბაღის მენეჯერი, ჩანაწერები ურთიერთსაწინააღმდეგოდაწესებულება პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია და ბავშვების პირადი საქმეების წარმოების წესი არ განხილულა. რაც შეეხება პერსონალის პირად საქმეებს,

დაწესებულებაში აღნიშნული საკითხი მოწესრიგებულია „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესით“. დაწესებულების, „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“-თ (ბრძანება #ბ31. 18251397; 19.05.2025) დადგენილია პირადი საქმის წარმოების წესი და განსაზღვრულია, დოკუმენტების ჩამონათვალი, რაც უნდა იყოს პერსონალის პირად საქმეში (ბრძანება #ბ31. 18251397; 19.05.2025; IV თავი მუხლი 22-ე), კერძოდ: სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელ. ელფოსტის მისამართი, რეზიუმე, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი/ასლები, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ცნობები/სერთიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისათვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრი დამადასტურებელი დოკუმენტები, შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებისა და ხელშეკრულებების ასლები, კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები, შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი. პერსონალის პირადი საქმეში, დევს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“-თ გათვალისწინებული დოკუმენტი, შრომითი ურთიერთობის ხელშეკრულების გარდა. ყველა დასაქმებულის პირად საქმეში განთავსებულია ცნობები ნასამართლეობისა და ნარკოლოგიური კვლევის აღრიცხვიანობის შესახებ, აღნიშნულ ჩამონათვალში არ არის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-181 მუხლის მიხედვით განსაზღვრული „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“. კანონის შესაბამისად, აღნიშნული ცნობა უნდა იყოს ყველა პერსონალის პირადი საქმის შემადგენელი ნაწილი.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

- ✓ დაწესებულებამ დაიცვას „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი (მე-181 მუხლი) „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“;
- ✓ კანონის შესაბამისად, „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობები განათავსოს ყველა შესაძლო დასასაქმებელი პერსონალის პირად საქმეში.

რჩევა

სასურველია:

- ✓ „დაწესებულებამ „ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლი და თვითშეფასების კითხვარში 4.2.1.4. დააზუსტოს ვინ არის პასუხისმგებელი პირი/ერთეული ბავშვის პირადი საქმის წარმოებაზე - ბაგა-ბაღის მენეჯერი თუ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სასწავლო პროცესების (მედოდური) განყოფილება;
- ✓ დაწესებულებამ „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“-თ განსაზღვროს ცნობების განახლების პერიოდულობა (ტუბერკულოზით დაავადების არარსებობის შესახებ, სამხარეულოს პერსონალისათვის ბაქტერიების და ჭიის კვერცხის არარსებობის შესახებ);
- ✓ დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვროს დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც პერსონალის პირად საქმეში უნდა ინახებოდეს და მოიცვანოს „ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის წესთან“ შესაბამისობაში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

- დაწესებულებამ, დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც დაგეგმილი აქტივობებით შესაძლებელი იქნება რეკომენდაციის სრულად გამოსწორება, კერძოდ: დაწესებულება 01.11.2025-01.11.2026 წწ. 12 თვიან პერიოდში უზრუნველყოფს ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისობას „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ დოკუმენტთან. საქართველოს კანონის (181-ე მუხლი) „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ დაცვით „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ ცნობებს განათავსებს ყველა შესაძლო დასაქმებული პერსონალის პირად საქმეში.
- დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის რჩევა და წარმოდგენილი გეგმით განსაზღვრულ ვადაში დააზუსტებს „ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის“ მე-10 მუხლის და თვითშეფასების კითხვარში 4.2.1.4 - ბავშვის პირადი საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირს.
- ასევე, „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“-თ განსაზღვრავს ცნობების განახლების პერიოდულობას (სამზარეულოს პერსონალისათვის ტუბერკულოზი ბაქტერიებისა და ჭიის კვერცხების არსებობის შესახებ); შინაგანაწესში გააკეთებს იმ დოკუმენტების ჩამონათვალს, რომლებიც პერსონალის პირად საქმეში უნდა ინახებოდეს და მოიყვანოს „ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის წესთან“ შესაბამისობაში.
- ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და შეფასებას ცვლის მეტწილი შესაბამისობით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (4.2);
2. „ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“;
3. ბრძანება #ბ31. 18251397; 19.05.2025 „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“;
4. შინაგანაწესი;
5. სავარაუდო დასასაქმებელთა პირადი საქმეები;
6. ინტერვიუება.



4.3. მატერიალური რესურსი

შეფასება:			
4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.3 მატერიალური რესურსი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით დაწესებულებას შერჩეული ჰყავს ექთანი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, ასევე გავლილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატით. პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი ასევე, გავლილი აქვს ავტორიზაციის იღების შემთხვევაში დასასაქმებელ ბალის 2 აღმზრდელს, 1 აღმზრდელის თანაშემწე, 1 ექთანს და მეუზოვს. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის განკუთვნილია სპეციალური სივრცე, სადაც ზის ექთანი და ფსიქოლოგი. დაწესებულებას პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები გაწერილი არ აქვს, სადაც აღწერილი იქნება ვის რა პასუხისმგებლობა აკისრია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას არ აქვს გაწერილი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, ადგილზე ვიზიტისას გაირკვა, რომ დაწესებულებას შეუძლია

პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა. დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქვს, რომ აღნიშნულ საკითხს მოაგვარებს 9 თვის განმავლობაში - 01.06.2025 – 31.03.2026 წწ.

რაც შეეხება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, თუმცა არ არის შეთანხმებული უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან და საჭიროებს განახლებას. დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქვს, რომ აღნიშნულ საკითხს მოაგვარებს 6 თვის განმავლობაში - 01.06.2025 – 31.12.2025 წწ.

დაწესებულებას ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერთან (#31-182513918; 19.05.2025) ბაღის შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დოკუმენტისა და ბაგა-ბაღის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის გამოთხოვის თაობაზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურში (#31-182519690; 15.07.2025) ბაგა-ბაღის შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დოკუმენტისა და ბაგა-ბაღის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის გამოთხოვის თაობაზე გაგზავნილი აქვს წერილები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას არა აქვს გაწერილი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, არა აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული. ასევე, არა აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია მეტწილი შესაბამისობით.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ეზოს ტერიტორიაზე არის ვარდის რამდენიმე ვარდისა და ბროწეულის ეკლიანი ნარგავი, ასევე, იყო მცენარე „იუკა“, რომელსაც ჰქონდა წვეტიანი, ბასრი ფოთლები და არ იყო შემოზღუდული. აღნიშნული ნარგავები ბავშვისთვის საფრთხის შემცველია. დაწესებულებამ ვერ

წარმოადგინა ინვენტარიზაციის დოკუმენტი, სადაც აღრიცხული იქნებოდა ეზოში მცენარეების შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, მონაცემები მცენარის პერსონალის/ბავშვის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოების შესახებ. საფრთხის შემცველი მცენარეების არსებობის შემთხვევაში დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს პრევენციული ღონისძიებები. კერძოდ, დაწესებულებას მიღებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი უსაფრთხოების დაცვისა და შესაბამისი გაუვნებელობის ზომები.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

- ✓ დაწესებულებამ შეიმუშაოს პრევენციული ღონისძიებები ეზოში არსებული ნარგავების შესახებ, მოახდინოს მცენარეების აღრიცხვა, ინფორმაციის დადგენა და ბავშვისათვის საფრთხის შემცველი მცენარეების/ნარგავების შემოზღუდვა;
- ✓ უზრუნველყოს მცენარის გაუვნებელობის ადეკვატური ზომები პერსონალის/ბავშვის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოების მიზნით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

- დაწესებულებამ, დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც დაგეგმილი აქტივობებით შესაძლებელი იქნება რეკომენდაციის სრულად გამოსწორება, კერძოდ: დაწესებულება 01.11.2025-01.11.2026 წწ. 12 თვიან პერიოდში შეიმუშავებს პრევენციულ ღონისძიებებს ეზოში არსებული ნარგავების შესახებ, მოიძიებს ინფორმაციას და მოახდენს მცენარეების აღრიცხვას. უზრუნველყოფს ბავშვებისათვის საფრთხის შემცველი მცენარეების/ნარგავების შემოზღუდვას, პერსონალის/ბავშვის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მიიღებს ადეკვატურ ზომებს მცენარის გაუვნებელობასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და შეფასებას ცვლის მეტწილი შესაბამისობით.

3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას საკითხები რეგულირდება შინაგანაწესით. დაწესებულებამ წარმოადგინა ოქმის დრაფტი, რომელშიც მოცემულია ერთჯერადი ინფორმაცია ბაღის ტერიტორიის გარეთ დაგეგმილი აქტივობის შესახებ, რომელზეც ავტორიზაციის მიღების შემდგომ, დოკუმენტზე დატანილი იქნება მშობლის ხელმოწერა. დაწესებულებამ ასევე, წარმოადგინა

არასრულწლოვანის პერსონალური ინფორმაციის დამუშავებაზე თანხმობის ფორმა. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად იქნება განსაზღვრული ბავშვის, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო მიზნებისა და უსაფრთხოების დაცვისათვის, დაწესებულებიდან მუზეუმში, თეატრში, პარკში, და სხვა გაყვანის წესი, რომელშიც აღნიშნული იქნება თანხმობის შინაარსი, პერიოდულობა და დანიშნულება/მიზანი. დაწესებულების მიერ, ვიზიტის დროს, წარმოდგენილი „სკოლამდელი აღზრდის მომსახურების ხელშეკრულება დრაფტი (კონტრაქტი)“ არ ითვალისწინებს ბაგა-ბაღის ტერიტორიიდან ბავშვის გაყვანის შესახებ საკითხს, არც წერილობითი ნებართვის შესახებაა ჩანაწერი. თუმცა განსაზღვრულია (მე-5 მუხლი - შემსრულებლის უფლება-მოვალეობები, 5.6.), რომ დაწესებულება უფლებამოსილია „... გადაუღოს ფოტო და ვიდეო მის (ბავშვის) საქმიანობას, შექმნას ბავშვის განვითარების პორტფოლიო და ბავშვის მიღწევები რეგულარულად გაუზიაროს მშობელს, ბავშვის ფოტო და ვიდეო მასალა გააზიაროს მხოლოდ მშობელთან ან მშობლების თანხმობით შექმნილ ინტერნეტ ჯგუფში, ბაღის საქმიანობის ამსახველ ინტერნეტ გვერდზე“.

ხელშეკრულების ნიმუშს/დრაფტს ახლავს მხოლოდ კითხვარი (დანართი 1.; დანართი 2.) - „თქვენი შვილის უკეთ გაცნობის შესახებ“ და „ალერგიით. ან სხვა კვებითი აუტანლობით დაავადებული ბავშვის საინფორმაციო ფურცელი“.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

- ✓ დაწესებულებამ ადგილზე წარმოდგენილი და გადმოგზავნილ დოკუმენტებში არსებული „სკოლამდელი აღზრდის მომსახურების ხელშეკრულება (კონტრაქტი)“ და მოიყვანოს შესაბამისობაში და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის ფორმა დაურთოს ხელშეკრულებას;
- ✓ დაწესებულებამ, ბავშვის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო მიზნებისათვის მუზეუმში, თეატრში, პარკში, და სხვა გაყვანის წესი ბავშვების უსაფრთხოების მიზნით, შეიმუშავოს წესი, სადაც დეტალურად იქნება განსაზღვრული აღნიშნული თანხმობის შინაარსი, პერიოდულობა და დანიშნულება/მიზანი.

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ უზრუნველყოს „სკოლამდელი აღზრდის მომსახურების ხელშეკრულება დრაფტი (კონტრაქტი)“ მე-5 მუხლის (შემსრულებლის უფლება-მოვალეობები) 5.1. და 5.7. პუნქტების ჩანაწერის აზრობრივი გამართულობა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

- დაწესებულებამ, დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც დაგეგმილი აქტივობებით შესაძლებელი იქნება რეკომენდაციის სრულად გამოსწორება, კერძოდ: დაწესებულება 01.11.2025-01.11.2026 წწ. 12 თვიან პერიოდში შესაბამისობაში მოიყვანს „სკოლამდელი აღზრდის მომსახურების ხელშეკრულებას („კონტრაქტი“)

და დაურთავს მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის ფორმას. დაწესებულება, ასევე, ბავშვების უსაფრთხოების მიზნით, შეიმუშავებს გაყვანის წესს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო მიზნებისათვის (მუზეუმი, თეატრი, პარკი და სხვა), სადაც დეტალურად იქნება განსაზღვრული აღნიშნული თანხმობის შინაარსი, პერიოდულობა და დანიშნულება/მიზანი. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და შეფასებას ცვლის მეტწილი შესაბამისობით.

4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას, ბავშვების ემოციური უსაფრთხოებისათვის, აგრეთვე ტრანზიციის პროცესის მხარდასაჭერად, აქვს დღის განრიგი, რომლის გაცნობა მოხდება დაწესებულებისათვის ავტორიზაციის შემდგომ. ბაგა-ბაღის შენობაში განთავსებულია სხვადასხვა სახის ვიზუალური მინიშნებები, ბეიჯები ცენტრებში გადასადგილებლად, სადაც თვალსაჩინოდ, ნახატებით არის წარმოდგენილი დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები, რაც ბავშვებს გაუადვილებს საბავშვო ბაღის სივრცის აღქმას. ასევე, ნახატების სახით წარმოდგენილია ქცევის წესები. დაწესებულება მშობლებს სთავაზობს სასწავლო წლის დაწყებამდე, ავტორიზაციის გავლის შემდგომ, ბავშვები მოიყვანონ ბაგა-ბაღში ექსკურსიაზე, ბაგა-ბაღის სივრცის დათვალიერებას უზრუნველყოფს ბაგა-ბაღის აღმზრდელი/აღმზრდელები. დაწესებულება სასწავლო-სააღმზრდელო გარემოში, შესაძლო ცვლილებების და ახალი რესურსების შესახებ ინფორმაციას, შეტყობინების მეშვეობით, გაავრცელებს საგანმანათლებლო პერსონალი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....



2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია და ბაგა-ბაღის სავარაუდო დასასქმებელი პერსონალი, იცნობს ბავშვის უფლებებს, „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ დოკუმენტს, უფლებებისა და რეფერირების შესახებ, რეფერირების პროცედურებს, „ბავშვის უფლებათა კოდექსს“. შეუძლიათ ძალადობის ფორმებისა და ნიშნების ამოცნობა, დაკვირვება და ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება. აღნიშნულის შესახებ რაიმე მექანიზმი შემუშავებული დაწესებულებას არ აქვს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ შეიმუშაოს მექანიზმები/პროცედურები, რაც ხელს შეუწყობს პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების, გამჟღავნების, განკარგვის და კონფიდენციალურობის დაცვას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“ (დამტკიცებულია ა(ა) იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (#ბპ1.18251399; 19.05.2025), თუმცა არ არის მითითებული როდის შედის ბრძანება ძალაში, ასევე გასაჩივრების შესაძლებლობა (გარდაბნის რაიონული სასამართლოს მისამართი),

დოკუმენტი ჩაშლილია მუხლობრივად, კერძოდ: რეგულირების სფერო, დაწესებულების როლის ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემაში, ბავშვის მიმართ ძალადობაზე რეაგირების საფუძველი, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში რეაგირებაზე პასუხისმგებელი პირი და რეაგირების მექანიზმი, ნაპოვნი/მიტოვებული ბავშვის რეფერირება, ინფორმაციის კონფიდენციალურობა და რეფერირებასთან დაკავშირებული პროცედურული წესები. აღნიშნულ წესს ახლავს დანართი 1. ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი და დანართი 2. ბავშვის პოვნის ან ბავშვის მიტოვების შესახებ. წესის მიხედვით (მუხლი მე-3, პ. მე-2) „ძალადობის ეჭვის გაჩენისას დაწესებულების თანამშრომელი მოქმედებს ამ წესით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად და ინფორმაციას აწვდის რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირს“. დაწესებულების დირექტორის ბრძანების „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში პასუხისმგებელი პირების დამტკიცების შესახებ“, (#31.18251472; 27.05.2025) პასუხისმგებელ პირებად ბაგა-ბაღებში განსაზღვრულია მენეჯერი, ხოლო გაერთიანებაში იურისტი. აღნიშნული ბრძანება საერთოა დაწესებულებაში შემავალი ყველა ბაგა-ბაღისთვის. მაგრამ ბრძანებაში არ არის გაწერილი ვალდებულებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები და არც გასაჩივრების სესადმელობა (სასამართლოს მისამართი, გასაჩივრებისთვის).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია:

- ✓ ა(ა) იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის ბრძანებაში (#31.18251472; 27.05.2025) „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში პასუხისმგებელი პირების დამტკიცების შესახებ“, მიეთითოს ვალდებულებები, მოვალეობები, პასუხისმგებლობები და გასაჩივრების ადგილი;
- ✓ პასუხისმგებელ პირს ჰქონდეს შესაბამისი (საქართველოს მთავრობის #437 დადგენილებით გაწერილი პროცედურები) სწავლება/გადამზადება გავლილი, რაც დადასტურდება გაცემული ცნობით, სერთიფიკატით ან სხვა დოკუმენტით;
- ✓ დაწესებულებამ შემუშავებულ დოკუმენტში „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“, განსაზღვროს პროცედურები, თუ როგორ იმოქმედებენ თანამშრომლები ბავშვზე ძალადობის ეჭვის მიტანის შემთხვევაში ან ასეთი ფაქტის გამოვლენისას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის და ტრანზიციის მექანიზმები/პროცედურები, სადაც გაწერილი იქნება რა მიდგომებით ახდენენ ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას ან ტრანზიციას. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულება პრაქტიკაში გამოიყენებს ადაპტაციის ფორმებს. კერძოდ, მშობლის დასწრებას ბავშვის შეგუების საწყის ეტაპზე, მრავალფეროვან სტრატეგიებს, მშობელთა აქტიურ ჩართულობას სწავლის დაწყების ეტაპზე, ეზოს აქტივობებს, მუსიკალურ გადასვლებს, რაც ხელს უწყობს ბავშვებს ემოციური სირთულეების დამლევაში და ადაპტაციის პროცესის მარტივად გამკლავებაში.

ბავშვების ტრანზიციის (შიდა და გარე) პროცესი მნიშვნელოვანი სკოლამდელ დაწესებულებაში, რითაც იწყება ბავშვის ახალი ურთიერთობები, ხდება ახალ გარემოში ოჯახიდან სახლში გადასვლისათვის მზადება და ახალ სივრცესთან შეგუება, ასევე შიდა ტრანზიციის პროცესი - მაგ. თამაშიდან სადილზე გადასვლის და შემდგომ ეზოში ან/და ჯგუფში აქტივობების გადასვლის პროცესი. ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულება იზრუნებს აღნიშნულ საკითხზე და რისთვისაც აქვთ საკმარისი სამუშაო გამოცდილება ბავშვების ბაგა- ბალთან შეგუებასთან დაკავშირებით შესაბამისი სამუშაოების განსახორციელებლად. ეს გადასვლები ბავშვს განვითარებისა და სწავლის დიდ შესაძლებლობას აძლევს. დღის განრიგი იმგვარად იქნება შედგენილი, რომ ხელოვნურად არ გაზრდის დროს გადასვლისთვის (სადილიდან ეზოში ან აქტივობებზე), მნიშვნელოვანია დაწესებულებაში შიდა ტრანზიციების დროს გამოყენებულ იქნას თამაშის დრო. დაწესებულებამ წარმოადგინა დღის განრიგის დრაფტი, რომელშიც ტრანზიციის პროცესი სრულყოფილადაა წარმოდგენილი.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

- ✓ დაწესებულებამ შეიმუშაოს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციისა და ტრანზიციის ეფექტური მექანიზმები/პროცედურები, რომელშიც გაწერილი იქნება საორიენტაციო შეხვედრები, მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის ჩართულობა, გარემოს შესაბამისად მოწყობა, ბავშვთან ურთიერთობა და სხვა. როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ფორმით, ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

- ✓ დაწესებულებამ, დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც დაგეგმილი აქტივობებით შესაძლებელი იქნება რეკომენდაციის სრულად გამოსწორება, კერძოდ: დაწესებულება 01.11.2025-01.11.2026 წწ. 12 თვიან პერიოდში შეიმუშავებს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციისა და ტრანზიციის ეფექტურ მექანიზმებს/პროცედურებს, რომელშიც გაწერილი იქნება საორიენტაციო შეხვედრები, მშობლის/კანონიერი

წარმომადგენლის ჩართულობა, გარემოს შესაბამისად მოწყობა, ბავშვთან ურთიერთობა და სხვა. როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური ფორმით, ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას და შეფასებას ცვლის მეტწილი შესაბამისობით.

5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას, საქმიანობის განხორციელებისათვის, ყველა წინა პირობა აქვს დაიცვას სხვადასხვა პერსონალურ მონაცემები - ბავშვისა და მისი ოჯახის მშობლების/ოჯახის შესახებ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“ (#31. 18251399; 19.05.2025), რომლის მე-6 მუხლით გათვალისწინებულია „ინფორმაციის კონფიდენციალურობა და რეგულირებასთან დაკავშირებული პროცედურული წესები“. დაწესებულების შინაგანაწესის (მუხლი მე-11 პუნქტი 22-ე, მე-12 მუხლის მე-12 პუნქტი, მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი) მიხედვით მენეჯერს, აღმზრდელსა და აღმზრდელის თანამშრომელს (ფუნქციების მიხედვით) ევალება „დაიცვან ბავშვის შესახებ მისთვის ცნობილი ინფორმაციის კონფიდენციალურობა“, ხოლო ექთნის ვალდებულებაში, რომელიც ასევე, ამუშავებს ბავშვის და/ან მისი ოჯახის შესახებ პერსონალურ ინფორმაციას, აღნიშნულის შესახებ ჩანაწერი არ არის. დაწესებულების მიერ შემუშავებულ და დამტკიცებულ სხვა მარეგულირებელ წესებში ბავშვისა და მისი ოჯახის ან/და პერსონალის ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ არ იკითხება. განსაკუთრებით სიფრთხილეს მოითხოვს ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაცვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ, შეიმუშაოს და დაიცვას პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების, გამჟღავნების, განკარგვისა და კონფიდენციალურობის დაცვის პროცედურები/მექანიზმები, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი როგორ უნდა მოხდეს კომპრეტულად კონფიდენციალურობის დაცვა, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლებთან, ბავშვებთან და ოჯახებთან ურთიერთობისას ნდობის ჩამოყალიბებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მშობლის ნებართვის ფორმა/დრაფტი (დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვის გაყვანასა და ფოტო-ვიდეო გადაღებაზე);
2. ვიზუალური დათვალიერება;
3. დღის განრიგი;
4. „ბავშვზე ძალადობის ექვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“;
5. „ბავშვზე ძალადობის ექვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესის“ დამტკიცების შესახებ ბრძანება (№ 831. 18251399; 19.05.2025);
6. ინტერვიუება;
7. დაწესებულების ბრძანება რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ.

შეფასება:

4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

შეესაბამება ☐

მეტწილად შეესაბამება ☒

ნაწილობრივ შეესაბამება ☐

არ შეესაბამება ☐

4.7. ფინანსური რესურსი

4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ყოველწლიური დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, რომელიც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა“ და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, ყოველწლიურად მტკიცდება ბიუჯეტის პროექტის სახით და გათვალისწინებულია სკოლამდელი აღზრდის ქვეპროგრამა, სადაც თანხები ჩაშლილია მუხლობრივად, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით. შემდეგი პუნქტების შესაბამისად: ინფრასტრუქტურა, სამეურნეო და

ჰიგიენური საშუალებები, კვება, შრომითი ანაზღაურება თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ხარჯები, უსაფრთხოების ხარჯები, კომუნალური ხარჯები.

დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი ბიუჯეტი, საფინანსო ხარჯთაღრიცხვა გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ქუდიქვეშ არსებულ ყველა დაწესებულებისათვის. ადგილზე ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გარდაბნის #3 ბაგა-ბაღისთვის განკუთვნილი ხარჯთაღრიცხვა/ბიუჯეტი კვარტლების მიხედვით, რაც კი სჭირდება დაწესებულებას ფინანსური რესურსით უზრუნველსაყოფად, სტრატეგიული მიზნების მისაღწევად და სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად. ბიუჯეტირების დაგეგმვის პროცესი დინამიკურია. ცვლილებების შეტანა და გადამტკიცება შესაძლებელია. დაწესებულების წლიური საპროგნოზო ბიუჯეტით დასტურდება, რომ დაწესებულების როგორც სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული, ისე მიმდინარე, საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით.

დაწესებულება ფინანსურად მდგრადია და შესაბამისად დაწესებულების სამოქმედო გეგმა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება მზადაა განსაზღვრული სუბსიდიის ფარგლებში მოახდინოს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისათვის რესურსის მობილიზება. დაწესებულება წლის განმავლობაში გეგმავს მომავალი წლის ბიუჯეტს. გათვალისწინებული საჭიროებების შემთხვევაში, დაწესებულება წერილობით მიმართავს მუნიციპალიტეტს თანხის დამატების თხოვნით. შესაძლებლობის ფარგლებში ხდება არგუმენტებით დამტკიცებული საჭიროებების გათვალისწინება და თანხის დამატება. თანხები ნაწილდება შრომითი ანაზღაურების, საგანმანათლებლო რესურსის, ოფისის ხარჯების, კვების ხარჯების, კადრების გადამზადების, მცირეფასიანი ინვენტარის, საკანცელარიო ნივთების, სხვადასხვა

სახის ტექნიკის, პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სხვა მნიშვნელოვანი პროცესების შეუფერხებლად განსახორციელებლად. ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულებას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დაფინანსება განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა“ და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად. დაწესებულების დაფინანსების წყაროა ა(ა)იპ გარდაზნის მუნიციპალიტეტი, რომელშიც სკოლამდელი აღზრდა გათვალისწინებულია ქვეპროგრამის სახით. ბიუჯეტის პროექტი მტკიცდება ყოველწლიურად. ბიუჯეტში ჩაშლილია ხარჯები, კერძოდ: თანამდებობრივი სარგოები, დანამატები/პრემიები, ოფისის ხარჯი, კომუნალური, წარმომადგენლობითი ხარჯი, კვების ხარჯი, კადრების გადამზადების, სამეურნეო და ჰიგიენური საშუალებების ხარჯი და ხარჯი ყველა იმ რესურსისათვის, რაც კი მნიშვნელოვანია ბაგა-ბაღისთვის. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა. დაწესებულების მიერ შემუშავებული სისტემა უზრუნველყოფს ბიუჯეტის დაგეგმვას, განკარგვას და მონიტორინგის მექანიზმებს. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....



რჩევა

სასურველია:

- ✓ დაწესებულებამ შეიმუშაოს საკუთარი ფინანსური რესურსების მართვის სისტემა ისე, რომ დაეფუძნოს ხარისხის ციკლს და მოიცვას დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და გადახედვა/გაუმჯობესების ეტაპები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების“ ხარჯთაღრიცხვა - 2025 წელი;
2. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა - საფინანსო ხარჯთაღრიცხვა;
3. ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის გარდაბნის #3 ბაგა-ბაღის 2025 წლის ფინანსური ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება:			
4.7 ფინანსური რესურსი			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

I სტანდარტი

1. ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სტრატეგია 2023-2028;
2. მისია, ხედვა, ღირებულებების ფოტო განთავსებული დაწესებულების სივრცეში;
3. სტრატეგიული დაგეგმვის და მონიტორინგისა და შეფასების წესი;
4. სტრატეგიული დაგეგმვის და მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანება ბ31. 182513912, 19.05.25;
5. სტრატეგიული დაგეგმვის და მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება № ბ31.18242681; 24.09.2024;
6. სტრატეგიაზე მომუშავე პასუხისმგებელი ჯგუფის კრების ოქმი #1; 24.09.2024;

7. ამონაწერი საქართველოს პრეზიდენტის №414 ბრძანებულებიდან (1999 წლის 1 ივლისი); „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ საქმისწარმოების ერთიანი წესები“;
8. ბრძანება ბ31. 18251422; 22.05.2025 - „სტრატეგიული დაგეგმვა 2023-28“ შესახებ;
9. სოციალური გვერდი <https://www.facebook.com/GardabaniKidsGardens>
10. ა(ა)იპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების წესდება“ – (ბრძანება ბ18. 18242964; 22.10.2024, მუხლი მე-44.2. პუნქტი „ვ“ ქვეპუნქტი);
11. ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სტრატეგია 2023-28;
12. ბრძანება ბ31. 18251422; 22.05.2025 „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“;
13. სტრატეგიული დაგეგმვის განკარგულება № 90-06-4-2023 10311729; 31.10.2023;
14. სტრატეგიაზე მომუშავე პასუხისმგებელი ჯგუფის კრების ოქმი - №1; 24.09.2024 წელი;
15. წლიური ანგარიში (2024 წელი);
16. ბრძანება - ბ31. 18242681; 24.09.2024, „სტრატეგიული გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის შესახებ“
17. „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“;
18. ინტერვიუება და ვიზუალური დათვალიერება;
19. ბრძანება ბ31.182513912; 19.05.2025, „სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესახებ“;
20. ქ. გარდაბნის მუნიციპალიტეტის გარდაბნის №3 ბაგა-ბაღის 2024-2025 სასწავლო წლის გრძელვადიანი (ერთწლიანი) სამუშაო გეგმა.

II სტანდარტი

1. დეკლარებული კურიკულუმი;
2. კურიკულუმის, შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი;
3. ოქმი №1 კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის კრების ოქმი;
4. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმი;
5. დღის განრიგი;
6. ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
7. საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი;
8. ინვენტარიზაცია;
9. კურიკულუმის მიზნების შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფის დოკუმენტაცია;
10. ინტერვიუ და ვიზუალური დათვალიერება;
11. წიგნების აღრიცხვის ჟურნალი.

III სტანდარტი

1. ოჯახთან, თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი;
2. საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი.

IV სტანდარტი

1. დაწესებულების ორგანოგრამა;
2. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და ბრძანება N ბ31. 18251397;
3. შინაგანაწესი და ბრძანება N ბ31. 18251394 შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ;
4. ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი დაწესებულების თანამდებობრივი ინსტრუქცია (სამუშაოს აღწერილობა);
5. დასასაქმებელი პერსონალის პირადი საქმეები;
6. ა(ა)იპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების 2023-28 წ. სტრატეგია;
7. 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა მიზანი 2 ამოცანა 2.2;
8. ინფორმაცია თანამშრომლებზე 2025 წლის ივლისის მდგომარეობით;
9. „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“ და ბრძანება დამტკიცების შესახებ (ბ31. 18251397; 19.05.2025);
10. შესაბამისობის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (4.2);
11. „ბავშვთა ჩარიცხვა-ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“;
12. ბრძანება #ბ31. 18251397; 19.05.2025 „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“;
13. შინაგანაწესი;
14. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
15. მშობლის წერილობითი ნებართვა და ნებართვის ფორმა (დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვის გაყვანასა და ფოტო-ვიდეო გადაღებაზე);
16. ინტერვიუება და ვიზუალური დათვალიერება;
17. დღის განრიგი;
18. „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“;
19. ბრძანება (№ ბ31. 18251399; 19.05.2025), „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესის“ დამტკიცების შესახებ;
20. ბრძანება (#ბ31.18251472; 27.05.2025) „ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში პასუხისმგებელი პირების დამტკიცების შესახებ“;
21. ა(ა)იპ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების“ ხარჯთაღრიცხვა - 2025 წელი;
22. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა - საფინანსო ხარჯთაღრიცხვა;
23. გარდაბნის № 3 ბაგა-ბაღის 2025 წლის ფინანსური ხარჯთაღრიცხვა.



თარიღი

24/10/2025 წელი

ხელმოწერი

სახელი გვარი

ხელმოწერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
ხარისხის ექსპერტი

მარინა გოგოლაძე

მ. გოგოლაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები
კურიკულუმის ექსპერტი:

თეონა გაროზაშვილი

თ. გაროზაშვილი

კვების დარგში ექსპერტი:

თამარ წაროუშვილი

თ. წაროუშვილი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:

გიორგი ანთაძე

გიორგი ანთაძე

4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი									
საფირმო სახელწოდება: გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): ქ. გარდაბნის #3 ბაგა-ბაღი					ბრძანების N: MES 3 25 0000642874; 10.06.2025				
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: ქ.გარდაბანი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) გარდაბნის მუნიციპალიტეტი, ქ. გარდაბანი, აღმაშენებლის ქ. N5 ა					ვიზიტის თარიღი: 16-17 ივლისი, 2025 წელი				
კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ზავშეთა რაოდენობას									
N	ინდიკატორი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება	დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები			
1	დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ზავშეთა რაოდენობის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად	☐	☐	☒	☐	1.ზავშეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი (ბრძანება #831.182513916; 19.05.2025 წ.); 2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 3. დაწესებულების მიერ ზემდგომ ორგანოებში გაგზავნილი წერილები #31-182513918; 19.05.2025; #31-182519690; 15. 07. 2025 წ. შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის გამოთხოვის შესახებ; 4.დაწესებულების მიერ შემუშავებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.			
2	აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ								
3	დაწესებულებას შემუშავებული აქვს ზავშეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს								
შესაბამისობის კითხვარი									
N	შეფასების ინდიკატორი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება	ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა	რეკომენდაცია	რჩევა	არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
1	დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ზავშეთა რაოდენობის გათვალისწინებით;								
	დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან	☒	☐	☐	☐	დაწესებულებამ წარმოადგინა საჯარო რეესტრის 2021 წლის 03 დეკემბერს მომზადებული ამონაწერი.			დაწესებულება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ ვადებში - 01.11.2025-01.11.2027წწ.
	დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა	☒	☐	☐	☐	დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის პროექტი.			უზრუნველყოფს საჯარო რეესტრიდან განახლებული ამონაწერის წარმოდგენას ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
	დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიუროს მიერ)	☐	☐	☒	☐	დაწესებულებას გაგზავნილი აქვს წერილი 31-182513918; 19.05.2025 გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიდან და გარდაბნის მუნიციპალიტეტის კონსტრუქციური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურში - #31 - 182519690; 15.07.2025 წ. შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის გამოთხოვის შესახებ. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობისა და შენობა-ნაგებობის სასამართლო ექსპერტის	დაწესებულებამ უზრუნველყოფს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ ვადებში ბაგა-ბაღის შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ დოკუმენტის წარმოდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.		დაწესებულება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ ვადებში - 01.11.2025-01.11.2027წწ.

	დაწესებულების აქტს მიმართვა უფლებამოსილი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ	☐	☒	☐	☐	სესია-ააგეითის უსაფრთხოების სესია. დაწესებულებას გაგზავნილი აქტს წერილი 31-182513918; 19.05.2025 გარდაზნის მუნიციპალიტეტის მერთან დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ და გარდაზნის მუნიციპალიტეტის კონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურში - #31 - 182519690; 15.07.2025 საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესახებ. დაწესებულებას წარმოდგენილი აქტს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობისა და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ	დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ ვადებში ბაგა-ბაღის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დოკუმენტის წარმოდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.	უსაფრთხოების გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ ვადებში - 01.11.2025-01.11.2027წწ. უზრუნველყოფს ბაგა-ბაღის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დოკუმენტის წარმოდგენას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. ექსპერტთა ჯგუფი ოზიარებს არგუმენტირებულ პოზიციას და შეფასებას ცვლის ნაწილობრივ შესაბამისობით.
2	დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს							
2.1.	დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ)	☐	☐	☐	☐	დაწესებულებისთვის არ არის რელევანტური.		
2.2.	მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ							
	დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე	☒	☐	☐	☐	დაწესებულება განთავსებულია პირველ და მეორე სართულზე.		
	ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე	☒	☐	☐	☐	ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ და მეორე სართულზე.		
	მესამე სართულზე (ახეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:							
	ადმინისტრაციული სამყოფები	☐	☐	☐	☐	დაწესებულებისთვის არ არის რელევანტური.		
	ღია სარეკრეაციო სივრცეები	☐	☐	☐	☐	დაწესებულებისთვის არ არის რელევანტური.		
	გარე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის	☐	☐	☐	☐	დაწესებულებისთვის არ არის რელევანტური.		
	სასკოლო მზაობის ჯგუფ(ები)	☐	☐	☐	☐	დაწესებულებისთვის არ არის რელევანტური.		
	მესამე სართულზე სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:							
	ამავე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძ(ებ)ი ბავშვებისათვის	☐	☐	☐	☐	დაწესებულებისთვის არ არის რელევანტური.		
	მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი	☐	☐	☐	☐	დაწესებულებისთვის არ არის რელევანტური.		
2.3.	დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი საგალდებულო სივრცეები:							
	ჯგუფური ოთახ(ებ)ი ან/და კურიკულუმის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე - საერთო სივრცე, ამასთან ყველა ჯგუფი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფური ოთახით ან კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეული საერთო სივრცით ბავშვზე არანაკლებ 2კვმ.	☒	☐	☐	☐	ყველა ჯგუფი უზრუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფური ოთახით - 3/4 და სასკოლო მზაობის 5/6 ასაკობრივი ჯგუფი, ხოლო 3/5 შერეული ტიპისაა.		
	სამინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე	☒	☐	☐	☐	სამინებელი მოთახი გამოყოფილია 2-3 და 3-4 ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებისათვის.		
	ადრეული და სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფებში სამინებელი სივრცე განთავსებულია იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია					სამინებელი სივრცეები განთავსებულია იმავე სართულზე, სადაც ჯგუფური ოთახებია.		

გასახდელი ზონა, რომელშიც გამოყოფილია სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად	☒	☐	☐	☐
სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის	☐	☒	☐	☐
სანიტარული კვანძი/კაბინა პერსონალისთვის	☒	☐	☐	☐
ადმინისტრაციული სამყოფები (მათ შორის სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის)	☒	☐	☐	☐
დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი	☒	☐	☐	☐
თუ დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი განთავსებულია ნახევარსარდაფში, აღნიშნული სივრცე საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად	☐	☐	☐	☐
კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო მომსახურების სივრცე	☒	☐	☐	☐
კვების ბლოკი	☒	☐	☐	☐
სამკურნეო ზონა	☒	☐	☐	☐
ადრეული ასაკის (2 წლამდე) ბავშვების ჯგუფური ოთახ(ებ)ი განთავსებულია პირველ სართულზე	☐	☐	☐	☐
ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია სპეციალური სივრცე მეტეპური დედებისთვის	☐	☐	☐	☐
თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა მიზნებისთვის, დაწესებულების პროგრამებში ჩართული ბავშვებისთვის მოწყობილია ინდივიდუალური/იზოლირებული შესასვლელი შენობაში	☐	☐	☐	☐
თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, სადაც ამჟამად ხდება სხვა ტიპის მომსახურების მიწოდება სხვა ასაკის ბავშვებისთვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფური ოთახები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე	☐	☐	☐	☐
დაწესებულებაში არის პანდუსი ან/და ლიფტი/მაქან ლიფტი მუხლდელი შესასვლელის მქონე პირებისთვის	☐	☐	☒	☐

გასახდელ ზონაში განლაგებულია კარადები და ერთი ტიხარი/ერთი სივრცე გათვლილია 2 ბავშვზე, რომელიც მრავლდება კარადების რაოდენობაზე. შერეულ ჯგუფში არის ერთი გასახდელი სივრცე და კარადები გამოჩენულია ცალ-ცალკე. აღსანიშნავია, რომ გასახდელის სივრცის კარადებში ზოგან საკიდის ნაცვლად დამაგრებული იყო ლურსმანი.				
ბავშვებისათვის გამოყოფილია სან.კვანძი, სადაც განთავსებულია წყლის გამაცხელებელი - „termesi“, რომელიც ბავშვისათვის ხელმისაწვდომი არ არის. გოგონებისა და ვაჟების სანკვანძი არ არის. ცალკე გამოყოფილი, რომელშიც გათვალისწინებულია 3 ბავშვისთვის, გამოყოფილია ტიხრებით. ტიხრებზე კარები დაზიანებულია.				
პერსონალისათვის, ბავშვების სანკვანძისგან დამოუკიდებლად, ცალკე სივრცეა გამოყოფილი მხოლოდ პირველ სართულზე, მეორეზე არ არის.				
დაწესებულებას, ცალკე აქვს გამოყოფილი სივრცეები მენეჯერისთვის, ფსიქოლოგისთვის, აღმზრდელ-მასწავლებლებისთვის თანამშრომლობითი საქმიანობისთვის.				
დაწესებულებაში გამოყოფილია დარბაზი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი სენსო-მოტორული აქტივობებისათვის საჭირო რესურსით.				
დაწესებულებისთვის არ არის რეგულაციური.				
დაწესებულებას ცალკე აქვს გამოყოფილი ექთნის სივრცე, რომელშიც ადგილი დათმობილი აქვს მწესაც. სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.				
დაწესებულებისთვის არ არის რეგულაციური.				
დაწესებულების ბაგა-ბაღის შენობა-ნაგებობაში განთავსებულია (გადაცემული აქვს საკრებულოს სარგებლობის უფლებით) გარდაშნის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრისათვის. შენობაში ცალკე შესასვლელი და გამოქვნილია ბაგა-ბაღისაგან. დაწესებულება არ არის განთავსებული ისეთ შენობაში, სადაც ხდება სხვა ტიპის მომსახურების მიწოდება სხვა ასაკის ბავშვებისათვის.				
დაწესებულებაში ლიფტი და პანდუსი არ არის.				

დაწესებულებამ უზრუნველყოს გასახდელ ზონაში კარადის კარების შეკეთება და კარადაში დამაგრებული ლურსმნის ნაცვლად საკიდის დამაგრება.	
დაწესებულებამ უზრუნველყოს დაზიანებულ ტიხრებზე კარების აღდგენა.	
დაწესებულება შესაბამისობის	

დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით	☒	☐	☐	☐	დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით და საქვამე არის შენობის მოშორებით, რომელსაც აქვს საპაროები და აქვს რკინის კარი.	დაწესებულებამ უზრუნველყოფის შშმ პირებისათვის პანდუსის მოწყობა.	უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ ვადებში - 01.06.2025- 31.12.2025 წწ. შეძლების ბაგა-ბაღში შშმ პირებისათვის პანდუსის მოწყობას. ექსპერტთა ჯგუფი ოზიარებს არგუმენტირებულ პოზიციას და შეფასებას ცვლის ნაწილობრივ შესაბამისობით.
მცირეკონტიგენტიან დაწესებულებაში (არაუმეტეს 2 ჯგუფი/60 ბავშვი) გათბობის წყაროდ გამოყენებულია დახურულ ზედაპირიანი ელექტროგამათბობელი	☐	☐	☐	☐	დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიმუმებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტირებას.		
